პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ბრძოლის ხმა

1937 წ. მარტი

№ 69

1937 — MARS
Paris

ყოველთვიური ორგანო საქ. სოც.-დემ. მუშ. პარტ. ცენტრალური კომიტეტისა ⁞ «L' ECHO DE LA LUTTE» — Revue mensuelle du Parti Social-Démocrate Ouvr. de Géorgie.

პარიზი
ქართული
ბიბლიოთეკა

გ ა რ ი ყ უ ლ ნ ი

მოხდა საოცარი ამბავი. ოქტომბრის მამა-მთავრები ოქტომბერმა გარიყა. შვილებმა დაჰამეს თავისი მშობლები, საბჭოებმა გაანადგურეს ძველი ბოლშევიკები. აღარ არის ძველი გვარდია, ლენინის მეგობრები და თანამებრძოლნი. მოსკოვის [illegible] იმპერიის კიდით-კიდემდე გამართულია შეუბრალებელი, დაუნდობელი, ნადირობა ამ გარიყულებზე და მათ [illegible] ასალმებენ წუთისოფელს. ზოგს აშკარათ, პროცესების საშუალებით, ზოგს კიდევ ჩუმათ, ციხის საკანებში.

რატომ, რისთვის? ერთი ძველი ბოლშევიკი ამას ასე უხსნის: «ძველი პარტიული მოღვაწეთა დიდი უმრავლესობა მტრულათ განწყობილია სტალინისადმი. კიროვის საქმის შემდეგ გამოწვეული პროცესები და გამოძიებანი აშკარათ ამტკიცებენ, რომ პარტია არ შეურიგდა სტალინის პირადულ დიქტატურას, რომ მიუხედავათ სხვადასხვა საპარადო განცხადებისა, თავის გულში ძველი ბოლშევიკები უარყოფითად ეპყრობიან მას და ეს უარყოფითი დამოკიდებულება არა თუ არ მცირდება, პირიქით ის მატულობს. დიდი უმრავლესობა იმათი ვინც დღეს მას გუნდრუკს უკმევს ხვალ, პოლიტიკური მდგომარეობის შეცვლისთანავე, მას გადაუდგებაო» («სოც. ვესტ.» 17 იანვარი 1937 წ.).

როგორც ხედავთ, ოქტომბრის მესვეურები აღარ არიან სტალინთან, საბჭოთა არსებულ ხელისუფლებასთან. მათ აღარ მოსწონთ ეს საშინელი ჯოჯო, ეს ლენინის სამკვიდრო და გაიძახიან—არა, ამისათვის ჩვენ არ ვიბრძოდით, ეს ჩვენი შვილი არ არისო. ახლა, თუმცა მოგვიანებით, მათ თვალი ეხილებათ, ყური ემახვილდებათ და ლაპარაკობენ იმას, რასაც ჩვენ დიდიხანია ვლაპარაკობთ. მათ ლიდერმა ტროცკიმ გამოაქვეყნა მთელი წიგნი საბჭოთა სინამდვილის დასამტკიცებლათ და მისგან თავის თავის გასამიჯნავათ. ერთი სიტყვით, ოქტომბრის არც ერთი ცნობილი შემქმნელი თავისათ არ აღიარებს ამავე ოქტომბრის ნაყოფს და მის დაქცევას შენატრიან. თუ ამ კრიტიკულ პოზიციაში ისინი დღეს ნამდვილ გზაზე შედგენ, სამაგიეროთ [illegible] მსჯელობაში განაგრძობენ იმავე იდეურ არევდარევას, რითაც ოქტომბერში შევიდნენ.

ტროცკის, ვიქტორ სერჟის და ძმათა მათთა რწმუნებით გვატრიდა არა ოქტომბერი, არამედ «მართველობის ზოგ ზოგები», «მეთოდები» და ამ გზით ჩინებულათ დაწყებული საქმე ისე გამრუდდა, რომ მოგვცა გაუგონარი დესპოტია. მართალია ლენინი, დამნაშავე სტალინი*). ამ გამართლებული, არაისტორიული კონცეპციით სურთ თავი დააღწიონ საკუთარ სიმრუდეს, დაიფარონ თავისი ძველი უტოპია და მას ახალ-ახალი მიაყოლონ. სტალინიზმი ანუ საბჭოთა არსებული წყობილება არ არის შემთხვევითი მოვლენა, არ არის ისტორიის უკანონო შვილი, ზეციდან ჩამოვარდნილი, ან რამდენიმე პირის მიერ საკუთრათ შეთხზული. ის მოდის ოქტომბრიდან, ის გაიშალა ამ ძირზე და მოგვცა ის ნაყოფი რასაც დღეს ვხედავთ. გარიყულნი ამ ძირს სცნობენ, ამ ნიადაგს თავისათ აღიარებენ, ხოლო უარყოფენ მის ნაყოფს, მის პირმშო შვილს. ძველი ბოლშევიკები გაირიყა არა მარტო საბჭოთა წყობილებიდან, არამედ აგრეთვე ყოველივე ლოღიკიდან, ყოველივე ისტორიული რეალიზმიდან. ამით აიხსნება ის [illegible] მდგომარეობა, რომელშიაც ისინი მოსკოვის პროცესებზე ჩავარდნენ. მათ ვერ შესძლეს ბოლშევიკური ნიადაგიდან ბოლშევიკურ ტირანიასთან ბრძოლა. ერთის მიღებით მეორის უარისყოფა და [illegible] დარჩნენ. ამ ტრაგედიის საძირკველი ჩაიყარა ოქტომბრის წინა დღეებში, მისი ავტორია ლენინი.

ამ დაწყებას ასე აგვიწერს ვიქტორ სერჟი: როგორც კი ლენინი დაბრუნდა უცხოეთიდან რევოლუციურ პეტერბურგში, «მატარებლიდან ჩამოსვლისთანავე შეუტია ის პარტიულ ამხანაგებს: რატომ არ დაეპატრონეთ ძალაუფლებას? შემდეგ ის აქვეყნებს თავის აპრილის ტეზისებს, ხელისუფლების დაპყრობის პროგრამას. მასზე ამბობენ გაგიჟდაო. ცნობილი ამხანაგები მას კიცხავენ. «პრავდა» არ ეთანხმება; მაგრამ ჩქარა ირკვევა რომ მას აქვს სმენა ხალხის, ქუჩის, ფაბრიკის და ყაზარმის. ის ამბობს იმას რასაც ეს ხალხი ფიქრობს და ვერ გამოუთქვამს; სამ კვირაში პარტიის უმრავლესობა მის მხარეზეა». კარგათ აწერილია სინამდვილე, ხოლო ამის გაგება ძველი ბოლშევიკებისათვის ზეცას არ მოუცია. რას ნიშნავს ეს? ნიშნავს ერთს: ლენინი არა თუ არ მიმართავს სოციალისტურ პარტიებს, არ ქმნის ძველ გამოცდილ რევოლუციონერების ბლოკს, ერთ სახალხო ფრონტს, არამედ ანგრევს თავისავე პარტიას, უარყოფს ოცი წლის პროგრამას და პრაქტიკას, ზურგს უქცევს მას და ეყრდნობა «ქუჩას», ე. ი. უორგანიზაციო და პოლიტიკურათ გაუწრთვნელ მასას, ხალხის სტიქიას და მას უხვევს აწყობილ და დაწყობილ პარტიულ დაჯგუფებათ. ლენინი ხდება ამ სტიქიის არა ხელმძღვანელი, მისი ორგანიზაციებში მომყვანი და გამწრთვნელი, არამედ მისი მორჩილი, მისი ამყოლი, მისი დოქტრინის თავის დოქტრინათ მიმღები. ბნელი მასა ხდება მისი ხელმძღვანელი, მისთვის თავისი პროგრამის თავზე მომხვევი. ლენინმა ეს დოქტრინა ნათლათ გამოხატა თავის მოსკოვის სიტყვაში, ერთ დიდ მიტინგზე, რასაც დაათავა ცნობილი მოწოდებით: «გრაბ ნაგრაბლენნოე, გაძარცვე ნაძარცვი!..» ის აქ დაეშვა პუგაჩოვის მოძღვრებამდე, რომლის ტყვე გახდა სიკვდილამდე.

იყო ორი გზა რევოლუციის მსვლელობისა: გზა შეგნებული, პოლიტიკურათ გაწრთვნილი მასების, რომელთაც უნდა შემოერთებია და ეწინამძღვრა შეუგნებელი, ბნელი მასები; ხოლო მეორე გზა— გზა ამ ბნელ მასების ბატონობის და მასში გალღვა პირველის. ლენინმა აირჩია ეს მეორე, ის ტოლსტოურათ დაეშვა მუჟიკამდე, ამოუდგა უკან შეიარაღებულ ხალხს და მიიღო ყველა მისი სოციალური ცრუმორწმუნეობა. განა საქართველოში არ იყო ბნელი მასების მოძრაობა? როგორ არა, ფრონტიდან დაბრუნებული ჯარის კაცების და ჩამორჩენილი რაიონების. მაგრამ ის დაიმორჩილა შეგნებულ მუშათა და გლეხთა ორგანოებმა და თავის წინამძღოლობაში მოაქცია. ძველი ბოლშევიკები დღესაც კი დასტირიან ამ დიდ მოვლენას და მის ჩასაქოლავათ მოყავთ ნ. ჟორდანიას შემდეგი სიტყვები, რომელიც მან წარმოსთქვა 26 ივნისს 1917 წელს აღმასრულებელ კომიტეტში: «ჩვენ ვდგევართ რევოლუციის დიდი კრიზისის წინაშე. ეს კრიზისია ბნელი ხალხის გაბატონება, რასაც თან სდევს რეაქცია. ბნელმა ხალხმა იგრძნო, რომ მას ბატონი არ ჰყავს და ლოზუნგებით მასთან ბრძოლა არ შეიძლება... ის ეძარება ბოლშევიკურ ლოზუნგებს და აქედან გამოყავს დასკვნები... თუ გვინდა რომ არ დაიწყოს მისი ბატონობა, ჩვენ უნდა გვქონდეს შეიარაღებული ძალა და ვაწარმოვოთ მტკიცე პოლიტიკა» («ერთ. მატიანე», 1927 წ. № 2). ძველი ბოლშევიკები ამას დღესაც ვერ შერიგებიან. ჩამორჩენილი მასების გაბატონება წინწაწეულზე მათი მუდმივი მეთოდია, [illegible] წელში ცერაობა მათი იდეალია. საქართველოში სოც.-დემოკრატიამ დაიმორჩილა სტიქია და მოაქცია თავის ფარგლებში. რუსეთში სტიქიამ დაიმორჩილა ბოლშევიკები და მოაქცია თავის სამსახურში. სწორეთ ამ ორი კონცეპციის ნიადაგზე მოხდა პირველი შეტაკება საფრანგეთის სოციალისტურ და კომუნისტურ პარტიათა შორის ტურის კონგრესზე 1920 წ. აი რა უპასუხა კომუნისტებს ლეონ ბლუმმა:

«თქვენ ფიქრობთ ისარგებლოთ რაიმე ხელსაყრელი პირობებით და გაიტაცოთ თქვენს უკან ხალხის არაკომუნისტური მასები, რომელნიც არ იცნობენ თქვენი მოძრაობის ნამდვილ მიზანს... ეს ტაქტიკა შეუგნებელი მასების, ჩათრეული თქვენი ავანგარდის მიერ მათდაუცნობლად, ეს ტაქტიკა ძალაუფლების დაპყრობის ერთი უცაბედი დაკვრით და მოულოდნელათ, ჩემი და ჩემი მეგობრების არ არის, მას უარს ვყოფთ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს მიიყვანს პროლეტარიატს მეტათ ტრაგიკულ იმედის გაცრუებამდე. ჩვენი აზრით კაპიტალისტურ საზოგადოების დღევანდელ მდგომარეობაში იქნება სიგიჟე დაეყრდნოთ არაშეკავშირებულ მასებს. ჩვენ ვიცით რომ შეუკავშირებელი მასები ერთხელ მისდევენ ბულანჟეს, მეორეჯერ კლემანსოს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყველა მოძრაობა ძალაუფლების ხელში ჩასაგდებათ, რომელიც ემყარება ინსტიქტიურ გრძნობებს, შეუკავშირებელ ბნელი ცხვარისებური მასების ძალადობაზე, იქნება აგებული მეტათ სუსტ ნიადაგზე და გახდება მსხვერპლი საშიშარი შემობრუნებისა»*).

საფრანგეთში, ისე როგორც საქართველოში, კომუნისტები დამარცხდნენ, შეგნებული მასები ვერ აიყოლიეს; მაგრამ სამაგიეროთ რუსეთში კომუნიზმი წავიდა ამ საბედისწერო გზით და გადავარდა უფსკრულში. ხალხს განთავისუფლების მაგიერ მიუტანეს მონობა, ხოლო თავის თავს გაჟლეტა. მათ შორის ორმო გაითხარა; ამ დიდი გაჭირვების დროს ძველი ბოლშევიკები ვეღარ ბედავენ მიმართონ მათ მიერ დამონებულ ხალხს და იქ ეძიონ თანაგრძნობა. ისინი გაირიყნენ სავსებით. მათ დღევანდელი გულგრილად უცქერის საზოგადოება. რაც მოგვივა დაგვითაო, ყველა შენი თავითაო—მათზე გამოჭრილი განაჩენია.

როგორ მოექცნენ ეს იმ ხალხს, რომელნიც ათეულ წლებში პოლიტიკურათ იბრძოდნენ, თავდადებულათ მუშაობდნენ თავისუფლების დროშის ქვეშ, ამ განსწავლულთ, გამოცდილთ მებაირაღტრეთ? ისინი აყვნენ ლენინს, დაემორჩილნენ რევოლუციის სტიქიას; რისთვის? ერთად-ერთი მიზნით—ხელთ იგდონ ძალაუფლება და მოიხმარონ ის. მათი აზრით ბოლშევიკური ხელისუფლება უეჭველათ ნიშნავს სოციალისტურ რევოლუციას, კომუნიზმის შემოღებას. ამასვე იმეორებს დღეს ტროცკი. მაგრამ რატომ ეს იქნება უეჭველათ დაწყება სოციალიზმის და არა ტირანიის? ეს ხომ დამოკიდებულია ხალხის იმ ნივთიერ და კულტურულ მდგომარეობაზე, რომელშიაც ეს ხელისუფლება იწყება. ეს დებულება მარქსიზმის ანბანია. მაგრამ ბოლშევიკები, ხელისუფლებით დამთვრალნი, მაშინვე ივიწყებენ ამ ანბანს და ხდებიან ნიცშეს ფილოსოფიის მიმდევარნი. ძალა სწყვეტს ყველა საკითხს, ნებისყოფა ისტორიას შეაბრუნებს საითკენაც მოესურვება. გარიყულნი ამ დებულებას ახლაც არ ეყრებიან და ძალის გაღმერთების საყურთხეველზე საკმეველს აკმევენ. აი აქ ჩაისახა ფაშიზმის ძირითადი პრინციპი; ის არ გამოუგონიათ ფაშისტებს, ის გამოიგონა ძველმა ბოლშევიკებმა და შემდეგ ის გადმოვიდა ევროპაში. მარქსისათვის ძალა არის მხოლოდ აკუშორი, ორგანიული პროცესის დამხმარე ახალი ნაყოფის მისაღებათ. ნიცშესთვის ძალა თვით არის ამ პროცესის შემქმნელი, ნაყოფის დამამწიფებელი და მიმღები, მთელი ცხოვრების ამწყობი და დამწყობი. პირველისათვის მთავარი საზოგადო მოღვაწეა, ლიდერია, ერთი მრავალთაგანი, რომელიც წინამძღვრობს ისტორიულ პროცეს სხვებთან ერთათ; მეორისათვის მთავარია ზე კაცი, ზეციდან მოვლინებული, აღჭურვილი უსაზღვრო უფლებით, მას კანონი განვითარებისა არ უწერია. შედეგი? ერთია. აშენებდნენ სოციალიზმს და გამოუვიდათ დესპოტია! მათ მოინდომეს ისტორიის მოტყუება, ისტორიამ კი მათ საშინლათ დასცინა, თავაწყვეტით თავპირი ჩაამტვრია. უტოპია თავზე გადაავლო და ოცნებიდან სინამდვილეში გადმოისროლა. ახლა მსგავსათ ნინევიელთა ზიან მოსკოვის მდინარის პირას და თმებს იგლეჯენ. რა მოგვივიდათ: თან ბოდიშს ხდიან თავის წმინდანს, ლენინს ყველაფერი კარგი უნდოდაო. ვიქტორ სერჟის სიტყვით, ლენინს სურდა დამყარება «ხალხის თვითმპყრობელობის», ნამდვილათ კი დამყარა საშინელი ჩეკა, რამაც შემდეგ სტალინი შვა; ლენინი იყო მომხრე «ყველა ერთა დამოუკიდებლობის» ო, ნამდვილათ კი ყველა დამოუკიდებელი ერი, მის ირგვლივ, ამათ შორის საქართველოც, სწორეთ მან დაიპყრო; მას სურდა «ნაციონალიზაცია ბანკების, ტრესტების და კარტელებისო», ეს მხოლოდ ქაღალდზე, სინამდვილეში მან მოახდინა «ნაციონალიზაცია» მთელი მოძრავი ქონების, ჩაის კოვზებამდე; არ დარჩენილა არც ერთი ოჯახი ქალაქებში ლენინის ბანდების მიერ გაუძარცველი; [illegible]; ის ითხოვდა «კონფისკაციას მთელი მიწა-ადგილის და გადაცემას საბჭოებში შეკავშირებულ გლეხობისათვის», ფაქტი კი სხვაა. მან გადასცა მთელი მიწა-ადგილი სახელმწიფოს და მის გამკარგულებლებათ დააყენა მოხელენი. ერთი სიტყვით, ვიქტორ სერჟის პანეგირიკა მისი საკუთარი «კეთილი სურვილების» ნაყოფია, სავსებით დაშორებული ისტორიულ სინამდვილეს.

ლენინიდან სტალინამდე ერთი პირდაპირი ხაზია, ერთი გამართული მთლიანი ჯაჭვია. სტალინს არ მოუქმედია არავითარი ისეთი, რაც არ მოექმედოს ლენინს ან არ გამომდინარეობდეს აუცილებლობით ლენინის მიერ აგებულ წყობილებისაგან. ტროცკი ერთდაიმავე დროს კოლხოზების შემოღებას ტაშს უკრავს და იმავე დროს დემოკრატიასაც ითხოვს. სტალინი საკმარისათ რეალისტია, რომ ეს შეუსაბამობა გაარჩიოს. კოლხოზები თუ კომუნიზმია, დემოკრატია [illegible], ვინაიდან ის მთელ ამ ძალათ [illegible] კომუნიზმს ერთ დღეს გააუქმებს. ასეთი უთავბოლობით არიან შეპყრობილნი ძველი ბოლშევიკები, ისტორიისაგან და ცხოვრებისაგან გარიყულნი, ბრძოლის და გაგების უნარს მოკლებულნი. ისინი გამოიფიტნენ პოლიტიკურათ და მორალურათ და გახდენ მსხვერპლნი თავისავე ნამუშევრის.

რუსული სტიქია უგზო-უკვლოთ დანავარდობს, დღეს გარიყა მისი შემქმნელნი, ხვალ გარიყავს დღევანდელ ბატონებს, მოავლენს ახალ-ახალ ბრძანებლებს; ის სავსეა სიურპრიზებით...

*) ტროცკი la Revolution trahie; სერჟის «ლენინიდან სტალინამდე». Crapouillot, იანვარი 1937.

*) იხ. მისი ბროშიურა: Pour la vieille maison.

წ ე რ ი ლ ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო დ ა ნ

აქაური ტროცკისტების დაჭერა გვცოდნინებთ, უნდა ვთქვათ, რომ ნამდვილი ტროცკისტი, ტროცკის მიმდევარი ამათ შორის არავინაა. ამ ტერმინით დღეს მთელ საბჭოთა კავშირში მონათლულია ყველა ოპოზიციური კომუნისტები და მათ ახლო მდგომი მართველი ფენები. მოსკოვის მეორე პროცესის დროს ქართველ კომუნისტთა შორის იყო პანიკა. ხალხში დიდი მითქმა მოთქმა შეიქნა. მოელიან მოსკოვის პროცესის თბილისში განმეორებას. მდგომარეობა გამოირკვა მხოლოდ 27 იანვარს, საღამოს. მოულოდნელათ თბილისის ქუჩებზე გამოჩნდნენ წითელ არმიელთა ნაწილები. თანაც გავრცელდა ხმა, კომუნისტებს იჭერენო. მართლაც დაიჭირეს შემდეგი პირები: ბუდუ მდივანი, მ. ოკუჯავა, ვ. კვირკველია, ნ. კიკნაძე, ლ. ღოღობერიძე, ვ. მოდებაძე, მ. ტოროშელიძე, ჩიხლაძე და ჯიქია. სარწმუნო წყაროებიდან ვიცით, რომ დასაჭერთა სიაში შეტანილია 40-მდე კომუნისტი, რომელთა შორის დიდი თანამდებობის პირებიცაა. უცდიან შესაფერ მომენტს. დაჭერის დროს ლ. ღოღობერიძეს მოუნდომებია თავის მოკვლა. ჩეკისტები მისცვივდნენ და ძალით გამოართვეს ხელიდან ამოღებული რევოლვერი. ბუდუ მდივანი კი მეტათ აღელვებული და მიუმართავს გპუ-ს წარმომადგენლისათვის შემდეგი სიტყვებით: «გადაეცით სტალინს, რომ თბილისი მოსკოვი არ არის. არც მე ვარ ზინოვიევი და კამენევი, რომ მისი ბრძანებით მე თავზე მოვიხვიო საძაგელი ბრალდებები. დღეს კიდევ შეუძლია მას დაჭერა გუშინდელი მისი თანამებრძოლნი, რომელნიც არ ჩაყვენ მას მორალურ დაცემაში, მხოლოდ მოიგონოს, რომ დანტონის შემდეგ რიგი რობესპიერზედაც მიდგაო!» ს. ქავთარაძე დაიჭირეს მოსკოვში. ძნელი წარმოსადგენია შორიდან იმის რაც აქ ხდება. ყველა შიშშია, ყველაზე უფრო დაშინებულია კომუნისტები. ჩანს ბერია ამზადებს სისხლიან დღეებს. თუ ყველა ტუსაღმა ბუდუ მდივანსავით დაიჭირა თავი, საეჭვოა რომ საჯარო პროცესი გამართონ.

ნოემბერში დაიჭირეს ბევრი ოფიცერი რუსული გარნიზონიდან. აბრალებდნენ ფაშისტურ შეთქმულობაში მონაწილეობას, რომელიც მოსკოვში აღმოჩენილიათ. მათი დიდი უმრავლესობა უკვე დახვრიტეს გეპეუს წესით, გაუსამართლებლათ. მათ შორის ქართველი არავინ იყო. აქამდის რუსები ითვლებოდნენ ყველაზე უფრო ლოიალურათ განწყობილათ მოსკოვის ხელისუფლებისადმი. ახლა ისინიც საეჭვოთ გამოცხადდა. მათ შორის ვრცელდება ფაშისტური მიდრეკილება. ქართველთა შორის ფაშიზმს არავითარი ნიადაგი არ აქვს და ამ ნიადაგზე არც ხდება რაიმე რეპრესია.

გავიგე, რომ უცხოეთში ყოფილან ქართველი ფაშისტები და მოუწოდებიათ თბილისის ქართველ ახალგაზრდობასთან დაკავშირება. აქედან უარი უთქვამთ, ჩვენ აქ წითელი ფაშიზმიც გვეყოფაო.

რამოდენიმე დიდი თანამდებობის კომუნისტი, რომელნიც იყვნენ პროვინციაში მივლინებულნი, უკვალოთ დაიკარგა. ამბობენ, გეპეუმ გააქრო ისინი, როგორც არასაიმედონი. ამ ცნობის სისწორე მტკიცდება იმით, რომ მათ მოსაძებნათ რაიმე განსაკუთრებითი ზომები არ მიუღიათ.

სომეხ-ქართველთა შორის იყო კარგი განწყო-

ბილება თავიდანვე. ეს დამოკიდებულება უცებ მოულოდნელად გაუარესდა. ამის მიზეზია ამიერკავკასიის ფედერაციის მოშლა და თითეული რესპუბლიკის უშუალოდ შესვლა კავშირში. თფილისის სომეხ კომუნისტებმა პროტესტი გამოაცხადეს, ქუჩებზე დემონსტრაციაც კი მოაწყვეს. შექნეს აგიტაცია სომეხ მოსახლეობის შორის. ამით გაფუჭდა ქართველ-სომეხ კომუნისტთა ურთიერთობა. ეს კიდევ უფრო გაამწვავა სომხეთის კომუნისტური პარტიის მდივანის ხანჯიანის სიკვდილმა. აქ დაჟინებით ამბობენ, რომ ის თავის ხელით მოკლა რევოლვერით ბერიამ თავის კაბინეტში.

გადასახლებიდან დაბრუნებულ სოციალდემოკრატებს ისევ იჭერენ და რუსეთისაკენ ასახლებენ.

მუშათა მდგომარეობა თფილისში, ისე როგორც მთელი მოსახლეობის, საშინელია. საშუალო ხელფასი თვეში უდრის 250-270 მანეთს რვა საათის სამუშაო დღით. მაგრამ ეს შიმშილის თანხაა. კილო შავი პური ღირს 1 მ. 60 კ., თეთრი 2 მ.—2 მ. 20 კ., ხორცი 8-9 მანეთი, ერბო 18 მან., შაქარი 5 მ. და სხ. მაკარონი, ვერმიშელი, ბრინჯი და სხ. არ იშოვება. ტანისამოსი და ფეხსაცმელი მეტად ძვირია. უბრალოესი კოსტიუმი ღირს 400-500 მანეთი, ფეხსაცმელი 200 მანეთიდან; ძალიან ძვირია ფართლეულობა. მანეთის ღირებულება ძველ შაურიანს ძლივს უდრის. სტახანოველობა არის მხოლოდ საშუალება მშიერი მუშისათვის რომ კუჭი გაიძღოს. სტახანოველი ორთვეს ძლივს სძლებს სამუშაოზე. ავადმყოფდება და იძულებულია არა თუ სტახანოველობას, თვით სამუშაოსაც თავი გაანებოს და დიდი ხნით დაისვენოს. ასეთი მდგომარეობა არც კომუნისტებს მოსწონს, განსაკუთრებით ძველ მუშებს; ამიტომ ბევრი ამათგანი ციხეებში და გადასახლებაშია. ახალგაზრდა კომუნისტებს უჩიჩინებენ, რომ ევროპაში მუშის მდგომარეობა გაცილებით უარესია, იქ ბუზივით იხოცებიან შიმშილით და სხ. ბევრ ამათგანს ეს კიდევაც სჯერა. კომუნისტურ პარტიაში მუშა-კომუნისტებს არავითარი გავლენა არ აქვთ. თვით პარტია გეპეუს იარაღია, რასაც უბრძანებენ იმას ასრულებს. არავის, რასაკვირველია, არ სწამს რეჟიმის სოციალისტობა, არც კომუნისტებს. ესენი მხოლოდ იმედოვნებენ საქმის გამოკეთებას. არა ერთი და ორი კომუნისტია, რომელიც ნატრულობს ახალ რევოლუციას და რეჟიმის დანგრევას.

თფილისელი.

ეს წერილი უკვე აწყობილი იყო, როცა მივიღეთ შემდეგი დამატებითი ცნობა საქართველოდან: დაიწყო დაკითხვა დატყვევებულ «ტროცკისტების»; ეს დაკითხვები გადაიქცა არა გამოძიებათ, არამედ დიდ აურზაურათ და ერთმანეთის ლანძღვა-თრევათ. ბრალდებულნი თვით გადაიქცნენ ბრალმდებლებათ და თავს ესხმიან სტალინს, ბერიას და მათ აპარატს; მათ აბრალებენ ფაშისტობას, პარტიის და ხალხის ღალატს—ერთი სიტყვით, კონტრ-რევოლუციონერობას. ბერია დაიბნა, მოულოდნელად წავიდა მოსკოვში, ამბობენ, წავიდა სამუდამოთო. მაგრამ გამოირკვა რომ წასულა ინსტრუქციის მისაღებათ სტალინისაგან. ქართველ ბოლშევიკთა შორის დიდი აღელვებაა; რიცხვი ბერიას შინაუმებისა ძალიან შემცირდა.

საბჭოთა კავშირის ბიუჯეტი

1. შემოსავალი.

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტი 1937 წლისთვის შეიცავს: შემოსავალში—98.069 მილიონ მანეთს და გასავალში—97.119 მილიონ მანეთს. იგი არამც თუ უდეფიციტოდ არის შედგენილი, არამედ წმინდა შემოსავალსაც იძლევა: 950 მილიონ მანეთს.

და განსაკუთრებით არაჩვეულებრივი ის არის, რომ ამოდენა შემოსავლიდან (98 მილიარდი მანეთი) მოსახლეობაზე არის გაწერილი გადასახადის სახით მხოლოდ 2.645 მილ. მანეთი ანუ მთელი შემოსავლის 2.6 პროც.; ბიუჯეტის დანარჩენი ნაწილი—97,4 პროც. კი სხვა წყაროებიდან იფარება. და ეს მაშინ, როცა ევროპა-ამერიკის სახელმწიფოებში სწორედ გადასახადებით «იხრჩობა» მოსახლეობა და სახელმწიფო ბიუჯეტი მაინც ქრონიკულად დეფიციტიანია. ამ გარემოებით ამაყობს კიდეც საბჭოთა კავშირის ხელისუფლება. ზოგჯერ იგი ამით სხვებზედაც შთაბეჭდილებას ახდენს. მაგრამ საბჭოთა მაგალითს მაინც არავინ მიყვება... რატომ?

ნუ ვიტყვით, რომ საბჭოთა კავშირის საბიუჯეტო შემოსავლის ციფრები გაბერილია; მივიღოთ ისინი ისე, როგორც გამოაქვეყნეს; მით უფრო, რომ 1935 წელშიც, რომლის საბიუჯეტო ფაქტიური შემოსავალი და გასავალი იქ ახლახან განიხილეს და დაამტკიცეს, შემოსავალს (67 მილიარდი მანეთი) გადაუჭარბებია ხარჯებზე მთელი 1.036 მილიონ მანეთით. საინტერესო ის არის, რომ ვიცოდეთ, თუ საიდან შემოდის ხაზინას ამოდენა თანხა, როგორ ახერხებენ საბჭოთა ქვეყნის ფინანსისტებმა სხვებისთვის მიუწდომელი ჯადო!

* * *

საბჭოთა კავშირის ბიუჯეტი განირჩევა ყველა სხვა ქვეყნის ბიუჯეტიდან ისე, როგორც საბჭოთა საზოგადოების სოციალური სტრუქტურა და მასზე აშენებული უფლება მოქალაქეთა თავისებურია და განირჩევა სხვა ქვეყნების სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურისა და უფლებისაგან. ტყუილად კი არ ამბობენ ხოლმე, რომ სახელმწიფო ბიუჯეტი სარკეა საზოგადოებრივი ცხოვრების და გამოხატავს იმის სოციალურ ვითარებასო.

კულტურულ ქვეყნებში ადამიანი თავისუფალია თავის მოქმედებაში, რამდენათ ეს მოქმედება სხვის კერძო თუ საერთო—კოლექტიურ ინტერესს არ ეწინააღმდეგება; იგი განმკარგულებელია თავისი შრომის, თავისი ქონების. ხოლო ვალდებულია ერთი ნაწილი საკუთარი შემოსავლისა დაუთმოს ხაზინას სახელმწიფო ხარჯების დასაფარავად. ეს ნაწილი კერძო შემოსავლისა წარმოადგენს სახელმწიფო გადასახადს; ეს გადასახადი იმდენათ უფრო სამართლიანია, რამდენათ იგი შემოსავლის ძალობაზე არის განაწილებული. ჩვენი დროის საგადასახადო პოლიტიკა იმით განირჩევა ძველებურ დროის საგადასახადო პოლიტიკიდან, რომ დღეს იბეგრება არა ადამიანი, არა პიროვნება, არამედ მისი ქონება და მისი შემოსავალი; ამიტომ გადასახადებში უმთავრეს როლს თამაშობს პირდაპირი გადასახადი, რომელიც სწორედ ქონებას და შემოსავალს სწვდება უშუალოდ; ადამიანი დაზოგვილია. ცხოვრებისთვის აუცილებელი მინიმუმი შემოსავლისა სრულებით არ იბეგრება. შრომით მიღწეული შემოსავალი და აუცილებელ საჭიროების ქონება იბეგრება უფრო მცირეთ, ვინემ არა-შრომით მიღწეული შემოსავალი (მაგ., მემკვიდრეობა, რენტა) და ფუფუნებისა და განცხრომისთვის დანიშნული ქონება. ამნაირათ, ბიუჯეტში მართლაც სჩანს გადასახადების სოციალური სახე.

საფრანგეთში, მაგალითად, ხალხის მთელი შემოსავალი უდრის წლიურათ 206 მილიარდ ფრანკს (ცნობა 1932 წლისთვის); აქედან შემოსავალი სამუშაო ქირისა და პენსიებისაგან შეადგენს 121.6 მილიარდ ფრანკს ანუ 59 პროც.; კაპიტალიდან (უძრავი და მოძრავი ქონება)—36,6 მილიარდ ფრანკს ანუ 17.8 პროც.; სოფლის მეურნეობიდან, ვაჭრობა-მრეწველობიდან და თავისუფალ პროფესიიდან—47.8 მილიარდ ფრანკს ანუ 23,2 პროც. ამნაირად, ორი უმთავრესი სოციალური კატეგორია წარმოადგენს გადასახადების ანუ დაბეგვრის საგანს: შემოსავალი შრომიდან—59 პროც. და შემოსავალი არა-შრომიდან—41 პროც. ხოლო თუ სახეში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ შემოსავალი შრომიდან ეკუთვნის მრავალ მილიონ მცხოვრებს და ამ მცხოვრებთა დიდი ნაწილის შემოსავალი ცალკე-ცალკე აღებული არ აღემატება ცხოვრებისთვის აუცილებელ მინიმუმს (10-12 ათასი ფრანკი წლიურათ) და ამიტომ სრულიად არ იბეგრება, და რომ ბევრი იმათგან კიდევ ოჯახის პატრონია და მათი შემოსავალიც ნაკლებათ იბეგრება,—ცხადია, პირველ კატეგორიის შემოსავალი (სამუშაო ქირიდან და პენსიიდან) საერთოდ ნაკლებ გადასახადს—პირდაპირ გადასახადის სახით—იძლევა ხაზინისთვის, ვინემ შემოსავალი მეორე კატეგორიის (შემოსავალი არა-შრომისაგან).

ასევე სხვა ქვეყნებშიც, სადაც გადასახადი ცოტათ თუ ბევრათ სამართლიანობის პრინციპზეა აგებული და საგადასახადო ტეხნიკა კარგად არის მოწყობილი: ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში.

რაც შეეხება არაპირდაპირ (ანუ ფარულ გადასახადს), იგი ყველას სწვდება, ღარიბს კიდევ უფრო საგრძნობლად, ვინემ მდიდარს; ამიტომ, თუმცა იგი ყოველგან არსებობს, მაგრამ მის წინააღმდეგ იბრძვიან. იგი უსამართლოდ არის მიჩნეული და პრინციპიალურად დაგმობილია; განსაკუთრებით მშრომელთა წარმომადგენელნი იბრძვიან ყოველგან არაპირდაპირი გადასახადის წინააღმდეგ.

* * *

საბჭოთა კავშირის სოციალური სტრუქტურა ისე მოეწყო, რომ იქ მთელი საზოგადოების შემოსავალი მხოლოდ სამუშაო ქირაა, არა-მშრომელნი იქ არ არსებობენ; და თუ არსებობენ წარმოებანი და მისი მსგავსი დაწესებულებანი, ისინი მხოლოდ სახელმწიფოს ეკუთვნიან, ისე როგორც უძრავი ქონებაც. ამნაირათ, გადასახადის გამღები საბჭოთა კავშირში არის ერთად ერთი სოციალური ფენა, სამუშაო ქირით რომ ცხოვრობს; რაც შეეხება სახელმწიფოს, იგი მონაწილეობას იღებს ბიუჯეტის შევსებაში (შეაქვს «გადასახადი») იმდენათ, რამდენათ მოგებას ნახავს იმავე სამუშაო ქირით მცხოვრებ მოსახლეობასთან დამოკიდებულებაში ვაჭრობა-მრეწველობის ნიადაგზე.

დაბეგვრა მშრომელთა (ანუ მათი შემოსავლის—სამუშაო ქირის) პირდაპირ გადასახადის სახით და იმდენათ, რომ სახელმწიფოს დიდი მადა იქმნეს დაკმაყოფილებული, საშინელ შთაბეჭდილებას მოახდენდა ყველაზე, როგორც შინ, ისე გარეთ. ამიტომ საბჭოთა ბიუჯეტში უმთავრეს როლს თამაშობს არაპირდაპირი გადასახადი,—თუმცა ეს სახელწოდება სრულებით არ არის ნახსენები,—გადასახადი უსამართლო და ყველასაგან დაგმობილი. ეს გადასახადი ისე დაფარულად არის მოყვანილი, რომ პირველ შეხედვით, გარეგნულად, არც კი სჩანს მთელი მისი უბედური შინაარსი. «გადასახადები მოსახლეობიდან», როგორც დასაწყისში ვსთქვით, ნაჩვენებია ბიუჯეტში (მუხ. 6) მხოლოდ 2.645 მილ. მან. ანუ 2.6 პროც.; შემოსავლის დანარჩენი მუხლები წარმოადგენენ გადასახადს და ანარიცხს მოგებიდან: მრეწველობაში, ვაჭრობაში, სოფლის მეურნეობის საგნების დამზადებაში, ტრანსპორტში, ბანკებში, ერთი სიტყვით, სახელმწიფოს მიერ წარმოებულ მეურნეობაში. «შევქმენით სახელმწიფო მეურნეობა კერძო მეურნეობის მაგიერ და აი იმ მოგებიდან, კერძო კაპიტალისტებს რომ მიაქონდათ წინათ, ახლა ჩვენ სახელმწიფო ბიუჯეტს ვფარავთ და მოსახლეობას გადასახადებიდან თითქმის ვანთავისუფლებთო»—აი რისი თქმა სურს საბჭოთა ხელისუფლებას თავისი ბიუჯეტით. ამაზე უკეთესი შეიძლება იყოს რამე?

ფორმალურად და ზერელედ თუ შევხედავთ, მართლაც ასეთი სახე აქვს საბჭოთა ბიუჯეტს; არსებითად კი საშინლად ღალატობს იგი მის ავტორებს; არსად სჩანს ისე ნათლად ორპირობა საბჭოთა მთელი საქმიანობის, როგორც სწორედ სახელმწიფო ბიუჯეტში; ხოლო იქ მოყვანილ ცნობებს ცოტა დაკვირვება სჭირია. და ეს დაკვირვება ჩვენ დაგვანახებს, რომ არა 2.6 პროც. ბიუჯეტისა მხოლოდ იფარება «მოსახლეობაზე გადასახადით», არამედ მთელი ბიუჯეტის სიმძიმე მოსახლეობას აწევს. მათი სამუშაო ქირიდან იფარება.

ის გარემოება, რომ ყოველგვარი შემოსავლის წყარო და საფავე ვაჭრობის, სოფლის მეურნეობის, უძრავ-მოძრავი ქონების, ყველაფერი სახელმწიფოს ხელშია, ხელისუფლებას საშუალებას აძლევს დააწესოს გადასახადი ფარული, ნიღაბ აფარებული, რომელიც სწვდება ყველა ცოცხალ ადამიანს. აქ არ არსებობს შემოსავლის არავითარი საცხოვრებელი მინიმუმი ფაქტიურათ დაუბეგრავათ რომ იყოს დატოვებული, რადგან იბეგრება არა შემოსავალი, არამედ კაცი, პიროვნება, მის აქტიურ თუ პასიურ მოქმედების პროცესში; აქ არსებობს ნამდვილი «სახულო ბეგარა», ფეოდალიზმის დროინდელი, როცა იგი ადამიანს ბატონის ყმათ ხდიდა. საბჭოთა კავშირშიც კაცი სახელმწიფო გადასახადებს რომ ვერ უძლებს, სახელმწიფოს ყმათ უხდება, მას ემონება: საკმარისია მოვიგონოთ გლეხების მიერ ინდივიდუალურ მეურნეობის მიტოვება და «თავის ნებით» კოლხოზებში შესვლის ამბავი.

ახლა დავუკვირდეთ კონკრეტულათ ბიუჯეტის საშემოსავლო წყაროებს და კერძოთ სახელმწიფო ქონებიდან, ვაჭრობა-მრეწველობიდან და სხვა სახელმწიფოს სამეურნეო მოქმედებიდან ბიუჯეტის შემოსავალში აღნიშნულ ციფრებს, გავეცნოთ მათ ნამდვილ ბუნებას.

ის დარგები მრეწველობის და ვაჭრობის, სადაც პირველ მოთხოვნილების საგნებს არ ამზადებენ და არ ყიდიან, შედარებით მცირე შემოსავალს აძლევენ სახელმწიფოს, რადგან ასეთი საგნების მყიდველი თვითონ სახელმწიფოა და მისი დაწესებულებანი; ესენია—მძიმე მრეწველობა, საკრედიტო დაწესებულებანი, ტრანსპორტი (ნაწილობრივ), საგარეო ვაჭრობა (აქ უცხოელების კონკურენციაა) და სხვ.; ყველა ამ დარგების შემოსავალი ბიუჯეტში უდრის სულ 11.160 მილ. მანეთს. სამაგიეროთ შეადგინე გადასახადს და მოგებას შემოსულს იმ დაწესებულებათაგან ყველასთვის აუცილებელ, უპირველეს მოთხოვნილების საგნებს რომ ამზადებენ და რომ ყიდიან. აი უმთავრესნი იმათგან (შემოსავალი):

მსუბუქ მრეწველობიდან	12.211 მილ. მან.
საკვებ საგნების მრეწველობიდან	22.187 „ „
სპირტის მრეწველობიდან	6.190 „ „
სასოფლო სამეურნეო საგნების დამზადებიდან და კოლხოზებიდან	24.697 „ „
სახელმწიფო შინაურ ვაჭრობიდან და კოოპერატივებიდან	5.003 „ „
სულ	70.288 მილ. მან.

აი საბჭოთა ბიუჯეტის შემოსავლის ნამდვილი წყარო: წარმოება და გაყიდვა უპირველეს მოთხოვნილების საგნების, საჭმელ სასმელის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის და სხვ. რადგან ამ სფეროში ხელისუფლება მონოპოლისტია, ის რამდენიც სურს იმდენს ადიდებს მოგებას ჯერ საგნის დამზადების და შემდეგ გაყიდვის პროცესში. მოგების გადიდებისთვის იგი ჩაგრავს მუშას და გლეხს უმცირეს სამუშაო ქირის დაწესებით, რათა ნაწარმოები რაც შეიძლება იაფათ დაიჯდინოს; შემდეგ კი ყიდის ამ ნაწარმოებს ძალიან ძვირათ. ამნაირათ, მოსახლეობას ორმაგათ ძვრება ტყავი: როგორც მშრომელს—სამუშაო ქირის დაკლებით და როგორც მომხმარებელს—საქონლის ძვირათ შეძენით. ვერც ერთს ამ პროცესს კაცი საბჭოთა კავშირში ვერ გაექცევა, რადგან სამუშაოს მიმცემიც მხოლოდ სახელმწიფოა და საქონლის მიმწოდებელიც მხოლოდ იგია, სახელმწიფო.

ჩვენს ჟურნალ გაზეთებშიც, უცხოეთის პრესაშიც, ბევრჯერ ყოფილა მოყვანილი ცნობები სამუშაო ქირის სიმცირის და საქონლის სიძვირის შესახებ საბჭოთა კავშირში; ამას ჩვენ არ გავიმეორებთ. მოვიყვანთ მხოლოდ ერთ მაგალითს საილუსტრაციოთ: 1936 წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირში (უკრაინა) მთავრობა უხდიდა გლეხს ფუთ ხორბალში 158 კაპ., ხოლო ყიდიდა გამომცხვარ პურს სახელმწიფო სავაჭროებში ფუთს—1.328 კაპ. (ცნობები მოგვყავს «თანამედროვე რუსეთის შესასწავლ საზოგადოების» გამოცემიდან «საბჭოთა კავშირის სოციალისტური მეურნეობა», ნაწილი მეორე). ამნაირათ, სახელმწიფო იღებდა ხორბლის პურათ გადაქცევის და გაყიდვის პროცესში... 740 პროცენტს! შედარებისთვის რომ ავიღოთ საფრანგეთის კერძო ბაზარი, ჩვენ დავინახავთ: აქ იყიდება ახლა ხორბალი 144 სანტიმათ კილო (144 ფრ.—ჰექტოლიტრი), ხოლო გამომცხვარი პური პარიზში იყიდება 220 სან. კილო; მიმატება ხორბლის პურათ გადაქცევის და გაყიდვის პროცესში უდრის 53 პროცენტს. ამნაირათ, საბჭოთა კავშირში ისეთ საგანზე, როგორიც არის პური, სახელმწიფო იღებს 14—15-ჯერ მეტს, ვინემ კერძო მოვაჭრენი ამავე საგანზე იღებენ საფრანგეთში. ასეთია საქმის ვითარება სხვა პირველ მოთხოვნილების საგნების დარგებშიც.

ამაზე უარესი გადასახადის წარმოდგენა შეუძლებელია: საბჭოთა მოქალაქე მარტო პურში, იმიტომ რომ იძულებულია იგი სახელმწიფოდან იყიდოს, უხდის ხაზინას ნორმალურ მოგებაზე (ეს მოგება თუნდაც საფრანგეთის კერძო ვაჭრობის საზომით რომ ვიანგარიშოთ) მეტს და, მაშასადამე, ფარულ გადასახადის სახით, არა ნაკლებ ორასი მანეთისა წლიურათ (კილო პური დღეში), ე. ი. მისი შემოსავლის 10 პროც. მეტს; ამას იხდის, თუ იგი მარტოხელია და გაცილებით მეტს იხდის, თუ იგი ოჯახის პატრონია («ბურჟუაზიულ» სახელმწიფოებში ოჯახიან კაცს გადასახადს უმცირებენ, «სოციალისტურ» ქვეყანაში კი თურმე უნდა მიუმატოს!); ახლა რამდენ გადასახადს იხდის იგი კიდევ და იმავე წესით ტანსაცმელში, ფეხსაცმელში, განათლება-განათებაში და სხვ.?

ასეთ გადასახადებით პირველ მოთხოვნილების საგნებზე იფარება საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის 76 პროცენტზე მეტი. ხოლო იქ ამას გადასახადს კი არ უწოდებენ, არამედ «მოგებას» სხვა და სხვა დაწესებულებათაგან; თითქოს მოსახლეობას ამასთან კავშირიც არ ჰქონდეს.

ერთი სიტყვით, ამ მოკლე განხილვიდანაც სჩანს, რომ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადი იანგარიშება არა ადამიანის შემოსავლის ან ქონების მიხედვით, არამედ ადამიანის ყოფაცხოვრების ისეთ დონეზე დაყვანით, რომ მან ფიზიკურათ არსებობა შესძლოს; [illegible] ადამიანის მთელი მოქმედების სულ სახელმწიფოს მიაქვს; ამით საბჭოთა საგადასახადო პოლიტიკა არსებითად განსხვავდება თანამედროვე სახელმწიფოების საგადასახადო პოლიტიკიდან. საბჭოთა კავშირში ფაქტიურათ [illegible] ფეოდალური დროის, «სახულო» გადასახადი, ისე შეუბრალებლად და ისეთის წესით მოწყობილი, რომ მას ვერავინ გაექცევა, [illegible] სჭამს და სვამს, იცვამს და იხურავს, ერთი სიტყვით, ვინც ცოცხლობს. არა ადამიანის კეთილდღეობის ან იმის შემოსავლის ზრდის მიხედვით, არამედ მოსახლეობის მექანიკური—რიცხვობრივი ზრდის მიხედვით, იზრდება იქ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი, რადგან გადასახადის დაწესების, დაბეგვრის, საგანი იქ არის არა ქონება, არამედ პიროვნება, ადამიანი. 1937 წლისთვის წინააღმდეგობა ამ ორ ელემენტის შორის 98 მილიარდზე არის შეკრებილი; ბიუჯეტის ეს შემოსავალი იმდენათ გაიზრდება ალბათ მომავალში, რამდენათ გაიზრდება და რამდენათ მეტ გამძლეობას გამოიჩენს საბჭოთა მოსახლეობა, ადამიანი—ეს ერთად ერთი, ცოტაა იქვეას გადამხდელი, საექსპლოატაციო საგანი ბიუჯეტის შესავსებად.

ასეთია ბუნება და შინაარსი საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის. თუ მის მაგალითს არავინ მიყვება დაწინაურებულ ქვეყნებში, იმიტომ რომ ყველას აქ აშკარა და პირდაპირი გადასახადი ურჩევნია არაპირდაპირს, ფარულს, და დეფიციტით ცხოვრება კეთილდღეობაში, ვინემ ადამიანის უსაზღვრო ექსპლოატაციაზე აგებული უდეფიციტო ბიუჯეტი.

ჩვენ დავინახავთ, თუ როგორ გროვდება ფული საბჭოთა ხაზინაში; როგორაა იხარჯება იგი და რას წარმოადგენენ საბჭოთა კავშირის ხარჯები რეალურათ? ამის შესახებ—შემდეგ.

ბ. ბ.

იანვარი, 1937 წ.

მორიგი პროცესი

რუსეთში დღეს პროცესი პროცესზე ხდება. გასულ აგვისტოს მოსკოვში ერთ დიდ პოლიტიკურ პროცესს ჰქონდა ადგილი. წელს იანვარში კი მეორე მოაწყვეს.

როგორც აგვისტოს, ისე იანვრის პროცესის მიზანი ერთიდაიგივე იყო: ბოლშევიკების ძველი გვარდიის წევრების განადგურება, ბოლშევიკური რეჟიმით ყველა უკმაყოფილო ელემენტების ტროცკიზმის სახელით მონათვლა და მასთან ბრძოლა, შინაური და გარეშე კომუნისტური ოპოზიციის ავტორიტეტის და პრესტიჟის დაცემა და შინაური მოწინააღმდეგეთა ფიზიკური მოსპობა.

კრემლის კამარილას დიქტატურამ რუსეთში ცხოვრების ისეთი საშინელი და აუტანელი პირობები შექმნა, ხალხი ისე გაამწარა და გააბოროტა, რომ იქ ბევრნაირი ზომებს და საშუალებებს მიმართავენ, რომ ეს კამარილა და მით მთელი რეჟიმი თავიდან მოიცილონ და მისგან თავი გაინთავისუფლონ.

17 იანვრის «სოციალისტურ ვესტნიკში» ვიღაც «ძველი ბოლშევიკი» თავის ფრიად საინტერესო წერილში იწერება, რომ გასულ ივლისის ბოლო რიცხვებში მოსკოვში დახურულ კარებში ირჩეოდა საქმე სტუდენტ-კომსომოლების, რომელთაც ბრალდებოდა სტალინის მკვლელობის მზადება. ასეთივე მზადება ყოფილა 1935 წელშიაც. შინაგან საქმეთა კომისარიატს ბლომად აქვს ცნობები, რომ ახალგაზრდობა გატაცებულია ძველი ტერორისტ-ნაროდოვოლცების შესახებ ლიტერატურის კითხვით.

არც ის არის გასაკვირი, თუ გამწარებული და ყოველგვარ უფლებას აყრილი ხალხი ომის მოსალოდნელობას გაფაციცებით თვალყურს ადევნებს და ფიქრობს ომის მიერ შექმნილ ხელსაყრელ პირობებში ამდენ ბოროტების ჩამდენ ხელისუფლებაზე ჯავრი იყაროს. ასეთი ხასიათის ცნობები რუსეთიდან ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში არაერთხელ ყოფილა მოთავსებული ევროპის პრესაში.

მაგრამ პიატაკოვ-რადეკის და სხვების საქმე ბრალდება იმ შინაარსით და ფორმით, როგორც ეს მათ წარუდგინა, ცხადია, მეტად ტენდენციური ხასიათის იყო.

სტალინი ფიზიკურათ სპობს მის ამხანაგებს, რომელნიც მას არ ეთანხმებიან, მის აზრებს და მეთოდებს არ იზიარებენ და რითიმე მას ეწინააღმდეგებიან. ძველი გვარდიის ცნობილ ბოლშევიკებისაგან თითქმის აღარავინ რჩება. კრებიან ყველა ისინი, ვინც წინანდელ რევოლუციებს ქმნიდენ და მათში აქტიურ მონაწილეობას იღებდენ. სტალინს მშვენივრათ ესმის, რომ ასეთი რაზმების გამო რუსეთის საზოგადოებრივ აზრს ადვილად შეუძლია ის რევოლუციის მოღალატეთ გამოაცხადოს. აკი ამ მხრივ სხვებთან ერთად ტროცკი სტალინის წინააღმდეგ დიდ პროპაგანდას აწარმოებს და მას სახელმწიფო კაპიტალიზმის მოციქულათ, გლეხების და მუშების მატერიალურ დამჩაგვრელათ, მათი უფლებების აყრელათ და ბონაპარტიზმისაკენ გზის გამკაფველათ აცხადებს.

მით უმეტესათ სტალინი ცდილობს ყველა მის მოწინააღმდეგეებს სამაგიერო გადაუხადოს და მთელი რუსეთის ხალხის და მსოფლიო პროლეტარიატის წინაშე სწორედ ისინი გამოაცხადოს ყოველგვარ ბოროტმოქმედების ჩამდენათ, სამშობლოს ღალატებათ და მუშათა კლასის და გლეხობის ექსპლოატატორათ. ის მათ კვალს უბრუნებს და მათ წინააღმდეგ შეტევაზე გადადის. მათ გასაწბილებლათ და დასამცირებლათ, ხალხის გასატეხათ და მორალურ-ფიზიკურ განადგურებლათ ის არავითარ ზომებს და საშუალებებს არ ერიდება. ტყუილის გამოგონება, ათასნაირი ცილისწამება, ყველაფერია მისთვის მისაღები, ოღონდ კი დანიშნულ მიზანს მიაღწიოს.

პროცესზე ხშირათ იყო ლაპარაკი ტროცკის მიერ პიატაკოვ-რადეკისადმი მიწერილ წერილების შესახებ, მაგრამ არსად ეს წერილები არ სჩანდა. დანაშაულობის არავითარი დამამტკიცებელი დოკუმენტი, ან რაიმე სხვა საბუთი არ ყოფილა წარმოდ-

ვენილი. პიატაკოვის ბერლინიდან ოსლოში ჰაეროპლანით მოგზაურობა ისეთივე ტყუილი გამოდგა, როგორც გასულ აგვისტოს ზინოვიევ-კამენევის პროცესის დროს მტკიცება, ვითომც ტროცკის შვილს ბერლინიდან კოპენჰაგენში ემოგზაუროს და იქ არ არსებულ სასტუმროში ჩამომხდარიყოს.

ტყუილების და ცილისწამების გარდა პროცესზე ადგილი ჰქონდა აგრეთვე ერთ დიდ პროვოკაციას. ბრალდებული სერებრიაკოვი ამბობდა, რომ ქართველ ტროცკისტების საშუალებით და ბუდუ მდივნის თაოსნობით ტეროისტულ აქტების მოსაწყობათ მოლაპარაკება უნდა გამართულიყო დაშნაკლებთან სომხეთში, მუსავატელებთან აზერბაიჯანში და მენშევიკებთან საქართველოში და მათთან უნდა მომხდარიყო შეთანხმება. ეს შეთანხმება ვითომც უკვე მოხდა ქართველ მენშევიკებთან იმ საფუძველზე, რომ დამოუკიდებელ საქართველოს ენიჭებოდა უპირატესი გავლენა ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზე და ამ გავლენას უნდა დამორჩილებოდა სომხეთი და აზერბაიჯანი.

აი უდიდესი პროვოკაცია, აი მეფის დროის პოლიტიკა, რომლითაც წინეთ ცდილობდენ კავკასიის ერების დაყოფას, მათ შორის შუღლის და მტრობის გამოწვევას და მათი საერთო საბრძოლველ ენერგიის მოშლას და გაქრობას. ახლაც ბოლშევიკები ცდილობენ ეხლა კავკასიის ერები ერთმანეთს დაუპირდაპირონ და ხელი შეუშალონ მათ მტკიცე კავშირს და გაერთიანებას.

საერთოთ პროცესი მეტად მძიმე შთაბეჭდილებას ახდენდა. ბრალდებულთა თავდამცირებას და სიმხდალეს საზღვარი არ ჰქონდა. ისინი არა თუ აღიარებდენ საბრალდებულო ოქმის ყველა მუხლების სისწორეს და ცნობდენ მათ წინააღმდეგ წამოყენებულ მთელ ბრალდებას, არამედ თავიანთ თავის და მათი ახლო მეგობრების და ამხანაგების შესახებ ამბობდენ ისეთ რამეებსაც, რასაც მათ არავინ ეკითხებოდა.

ევროპის პრესა, რომელიც ნაკლებ იცნობდა საქმის ნამდვილ ვითარებას, სწერდა, რომ პროცესზე რადეკს ვითომც ღირსეულად ეჭირა თავი. თუ არ მივიღებთ მხედველობაში რადეკის არა სამწყრო გაიძვერებას, რასაც არსებითად არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონია, მისი ქცევა და სიტყვები პროცესზე ყველა სხვების ქცევაზე და სიტყვებზე უფრო უმსგავსო და საზიზღარი იყო: რადეკი მთელი თავისი ნებით და ხერხით ცდილობდა ბრალმდებლისთვის ყველაფერში კვერი დაეკრა და როგორც თავისი თავი, ისე სხვა ბრალდებულნიც გაეშავებინა და გაეთახსირებინა. მისი ხვეწნა მსაჯულთა წინაშე, რომ მის მიერ ჩადენილ საქმეებისათვის მისთვის ბანდიტი არ ეწოდებინათ, ორპირობა და უბრალო თავის მოკატუნება იყო და მეტი არაფერი.

პროცესზე არ ჩანდა ადამიანის არა თუ რაიმე იდეალი, ბრალდებულნი აღმოჩნდენ აგრეთვე ყოველივე ღირსებას, თავმოყვარეობას და პატიოსნებას მოკლებული. აკი თვით რადეკი, რომელსაც ჯერჯერობით სიცოცხლე შეარჩინეს, რადგანაც ის ალბათ მათ მომავალ პროცესზე კიდევ დასჭირდებათ, ამბობდა, რომ პატიოსნება მას უკვე კარგი ხანია დაკარგული აქვს.

ბრალდებულთა ასეთი ქცევა პროცესზე გაუგებარი ხდება არა მხოლოდ ევროპიელებისათვის, არამედ ხშირად ბევრ მათთვისაც კი, ვისაც დიდი ხნის განმავლობაში რუსეთში უცხოვრიათ და ბოლშევიკების ახალ-ძველი კარგათ იციან. და მართლაც, მთელი ეს ამბავი არ არის ადვილი გასაგები.

წინეთ, მეფის რუსეთში, ბრალდებულნი—ძველი რევოლუციონერები გმირულად გამოდიოდენ პროცესებზე, აღიარებდენ თავიანთ მოქმედებას, მაგრამ ხსნიდენ და ამტკიცებდენ მის გამომწვევ მიზეზებს და ხანდახან საბრალმდებლო სიტყვებს ამბობდენ და ილაშქრებდენ მჩაგვრელ და ბოროტების მთესავ ხელისუფლების წინააღმდეგ. დღეს რუსეთში მსაჯულებს და ბრალმდებლებს იწონებენ და აქებენ ბრალდებულნი—ბოლშევიკები. ეს უკანასკნელნი კი თავიანთ თავს იმათრახებენ და აძაგებენ. წინანდელი რევოლუციონერები შეიცვალა ლაჩრებით და ყოველივე ღირსებას მოკლებულ ადამიანებით. რატომ ხდება ეს?

ბევრი ამას იმით ხსნის, რომ ბრალდებულ ბოლშევიკებს რაღაცა წამალს აძლევენ და მათაც ჰიპნოზით მოქმედებენო. მაგრამ ეს უბრალო ზღაპარი და ფანტაზიაა.

ყოველივე საბუთს მოკლებულია აგრეთვე ოტტო ბაუერის მტკიცება, რომ ვითომც პიატაკოვმა, რადეკმა და სხვებმა თავიანთი სიცოცხლე, თავისუფლება და პატიოსნება პარტიის და საბჭოთა რუსეთის ინტერესების სამსხვერპლოზე შეგნებულად და გაბედულად მიიტანესო.

სინამდვილე მხოლოდ ის, რომ ძველი რევოლუციონერები—ბოლშევიკები ფსიქოლოგიურათ და მორალურათ დაეცნენ და გადაგვარდნენ. მთელი ოცი წლის განმავლობაში ბოლშევიკების დიქტატურამ და ტირანიამ ადამიანის პიროვნებას აჰყარა ყოველივე ფასი და ღირსება. უხეშმა ძალამ ბოლშევიკებში ჩაკლა გაბედულება და მამაცობა; ძალამ დაიმორჩილა ისინი, როგორც უბრალო უსულო ნივთი; მათ წართმეული აქვთ აზრის თავისუფლად გამოთქმის უნარი და მაღლიდან გაცემულ ბრძანებას უსიტყვოდ ემორჩილებიან; ისინი ვეღარ უძლებენ ჩეკისტების ინკვიზიცია-ძალადატანებას და სიცოცხლის დაკარგვის საშიშროების წინაშე კანკალებენ.

ათეული წლების მანძილზე ბოლშევიკური პარტია და ხელისუფლება აჩვევდა კომუნისტებს ორპირობას, სიცრუეს, ცილისწამებას, სხვების და თავის თავის დამცირებას, ათასნაირ ჭორების და ინტრიგების გამოგონებას. ერთი განსაზღვრული მიზნის მისაღწევად ყოველნაირი საშუალება იყო დაშვებული. ყოველივე იდეალური და ადამიანური გაქრა ბოლშევიკების მოქმედების სფეროდან. ყველაფერი დაიმორჩილა ძალაუფლების შენარჩუნებამ და კრემლის კამარილის ბატონობამ. ბოლშევიკებმა შექმნეს კაცობრიობის ისტორიაში ჯერ არ ნახული და გაგონილი ამორალიზმი, და ამ ამორალიზმის განმტკიცებაში დიდი როლი ეთამაშა, როგორც ტროცკის, ისე ყველა იმ კომუნისტებს, რომელნიც ამ უკანასკნელ ხანებში საბრალდებულო სკამზე წამოასკუპეს.

ყველაფერი ამის შემდეგ რაა გასაკვირი იმაში, რომ მოსკოვის პროცესზე ბრალდებული ბოლშევიკები იქცეოდენ ისე, როგორც თვით ისინი წინეთ ასეთნაირ ქცევას სხვებისაგან მოითხოვდენ. მათი ბოროტი მოქმედების პროცესში ისინი გადაგვარდენ და დაეცნენ და ბოლოს თავიანთ ნამოქმედარის მსხვერპლი გახდენ.

კრემლის კამარილია, რომელსაც სტალინის ეშინია, ცდილობს მას ასიამოვნოს და მისი მოპირდაპირენი და მეტოქენი დაამარცხოს. მალე, ალბათ, თვით სტალინს კარზე მიადგება, რომ მისი მეტოქეების საშიშროებისაგანაც თავი განთავისუფლოს. ამით კი შეიძლება დაიწყოს საბოლოო გამარჯვება რუსეთის იმ ნაციონალისტურ ძალების, რომელიც ბოლშევიკურ პარტიის ნგრევის და გადაგვარების ხანაში დღითი დღე იზრდება და მაგრდება. ამაზე შემდეგ.

ა. ფურცხალაძე.

კიდევ „სოც. აზრი"

რ. არსენიძე განაგრძობს თავის განწირული დებულების დაცვას საბჭოთა საქართველოში «ახალი ცხოვრების დატრიალების» შესახებ, თუმცა არა წინანდელი ენტუზიაზმით და არა წინანდელი პოზით. ახლა ის უფრო პროზით ლაპარაკობს და რომ ამ პროზაში ჩვენს ადრესზე ისეთი რამეები არ ეთქვა, რაც ჩვენ ფიქრადაც კი არ მოგვსვლია—ჩვენ არაფერს ვიტყოდით, რომ ამით მისთვის უკან დახევა გაგვეადვილებინა.

თავის პასუხს ის იმით იწყებს რომ თურმე «ბრძ. ხმა»-ს ძალიან ცუდ გუნებაზე აყენებს ის გარემოება, რომ საქართველოს სოციალური განახლების პროცესი, რევოლ. გადატრიალების დღიდან დაწყებული და დამოუკიდებლობის ხანაში განვითარებული ბოლშევიკების ბატონობის ხანაშიაც კი გრძელდება და ერთგვარ ჩამოყალიბებასაც ღებულობს.

რ. არსენიძე ცდება რასაკვირველია. ჩვენ ის გვაყენებს ცუდ გუნებაზე, რომ რ. არსენიძე იქამდე მივიდა, რომ ასეთ უცნაურ რამეებს ამბობს და იცავს! როგორ შეუძლია არსენიძეს სთქვას, რომ ის რაც დღეს ჩვენს ქვეყანაში ხდება არის განვითარება და ჩამოყალიბება იმ სოციალური პროცესის, რომელიც დაიწყო რევ. დღიდან და განვითარდა დამოუკიდებლობის ხანაში?! ამ ნიადაგზე მასთან არსებითად დავა, რა თქმა უნდა, სრულიად ზედმეტია.

საინტერესოა რომ სულ სხვაგვარად ფიქრობდა ის «სოც. აზრი»-ს წინა ნომერში. ის სწერდა: «არ არის არც ერთი თავის თავად საჭირო, საზოგადოებრივ სასარგებლო მოვლენა, დაწყებულება ან გაუმჯობესობა, რომელიც კომუნისტების ხელისუფლებამ შინაური განვითარების წყაროდ და თავის აპარატის გაძლიერების საშუალებათ არ გამოიყენოს». «ირღვევა მუშათა ფენებში ერთობის გრძნობა და იბადება შური, შეტაკება, მკვლელობაც კი». ეს მუშათა წრეებში. გლეხობაში? «კოლექტიური მიწის დამუშავება მეურნეობაში კარგია, პროგრესიულია, როცა იგი ეწყობა ნებაყოფლობითი შეკავშირების ნიადაგზე. მაგრამ იგი იქცევა ბოროტებად, როცა იძულებითია, ტექნიკურად გაუმართლებელი და მხოლოდ პოლიტიკური მიზნებით გამოწვეული ე. ი. ხალხის უფრო ადვილად გაძარცვის საშუალებათ გამოყენებული, როცა მთავრობისათვის ნამუშევარის ჩაბარება და მომუშავეების თუ გინდ მშიერი დატოვება პირველ ხარისხოვან ღირსებად ითვლება» და სხ. და სამართლიანად აღნიშნავს რომ ამ «საშინელ პოლიტიკას ქართველი ერი დიდი წინდახედულობით და სიფხიზლით ხვდება»-ო. ასე სწერდა ის «სოც. აზრი»-ს მე-5 ნომერში. ხოლო მე 6 ნომერში კი გვატყობინებს, რომ «საქართველოში დღეს დიდი, განსაცვიფრებელი კულტურულ-მეურნეობრივი მუშაობა სწარმოებს, რომ ახალი სიცოცხლე დატრიალდა»-ო და სხ. როდის უნდა დავუჯეროთ რ. არსენიძეს—მე-5 ნომერში, თუ მეექვსე ნომერში?

ჩვენ თურმე არც ის გვეპიტნავება, რომ «იშვა საქართველო მშრომელთა, მუშაკთა და მოღვაწეთა»! რ. არსენიძემ კარგად იცის, რომ «მშრომელთა და მუშაკთა საქართველო» ჩვენ ძალიანაც რომ გვეპიტნავება. მაგრამ იმ საქართველოს, რომელიც შექმნა კომუნისტებმა, მართლაც არ ვცნობთ «მშრომელთა საქართველოდ» და არც არავითარ მის ნათესაობას არ ვხედავთ იმ მშრომელთა საქართველოსთან, რომლის დამყარება-განხორციელებისათვის ჩვენ ვიბრძოდით და ვიბრძვით. უნდა გამოვტყდეთ იმაშიაც, რომ ჩვენ მართლაც შეგვაწუხებდა რომ რ. არსენიძის მიერ აწერილ «ახალ საქართველოს» ქართველი ერი შეეგუებოდა და შეეცნო! ბედნიეროდ ჩვენი ხალხი თვითონ კარგად ხედავს და გრძნობს რა «ახალი ცხოვრება» შეუქმნა მას კომუნისტებმა და ამას ის არც ეგუება და არც სცნობს თავისად.

«ბრძ. ხმა»-ს სოციალისტებს გონია—სწერს ის—რომ მშრომელთა საქართველო თუ კი არსებობს, ბრძოლა რადა საჭიროა». ეს მართლაც რომ გვგონია ასე. მშრომელთა საქართველო ნიშნავს მშრომელთა ბატონობას, თუ ბატონობს მშრომელი ვიღას უნდა ებრძოლოს ის? დღემდის ასე ვიცოდით, რომ ქვეყანა მშრომელთა კუთვნილებად ხდება, როგორც შედეგი [illegible] ბრძოლების გამარჯვებისა, რომელიც მიმართულია [illegible] და კაპიტალიზმის [illegible] დიდი ხანი [illegible] კიდევ დილიდან საღამომდე. მაგრამ დღემდის არავის უთქვია მაგალ. რომ ინგლისი, გინდ ამერიკა, თუ გერმანია «მშრომელთა ქვეყანა» არისო. ასეთ რამეს ამბობენ მხოლოდ საბჭოთა კავშირში—მოისპო კლასები, ქვეყანას მშრომელი დაეპატრონა, «სოციალიზმი ერთ ქვეყანაში»-ო და სხ. «ბრძ. ხმის» სოციალისტებს მართლაც არა სწამთ ეს და «სოც. აზრს» ძალიან უკვირს, რომ მეტის მეტი სოციალისტობის სურვილში ისიც არ დაიჯერონ, რაც კიდევ შერჩენიათ.

«ჩვენი თეზისია—განაგრძობს ის—უნდა ვიდგეთ იმათ რიგებში ვინც პატარა ერთა დამოუკიდებლობის პრინციპს აღიარებს და მისი განხორციელებისათვის ზრუნავს»-ო. სწორია, ორი და ორი ოთხია. «თვით გრ. ურატაძესაც შეუძლია დარწმუნდეს რომ სოციალისტები სრულიად არ უცდიან სოციალიზმის განხორციელებას, რომ ერს დამოუკიდებლობა მიანიჭონ»—გვაწვდის ის. სრული სიმართლეა. სოციალისტები არ უცდიან. მაგრამ აცდევინებს მათ რ. არსენიძე და ჩვენ სწორედ ეს შევნიშნეთ მას. აი რას სწერდა ის: «ინტერნაციონალს ექსპლოატაციისაგან შრომის განთავისუფლებასთან ერთად ჩაგრულ ერთა განთავისუფლებაც თავის პრინციპიალურ მიზნად აქვს დასახული»-ო (№ 6). შრომის ექსპლოატაციისაგან განთავისუფლება კი მოხდება სოციალიზმის დროს და თუ ჩაგრულ ერის განთავისუფლებაც ამასთან ერთად (ხაზი ჩვენია) უნდა მოხდეს—ეს ნიშნავს, რომ ერების განთავისუფლება გადადებულია სოციალიზმის განხორციელებამდე. ჩვენ კარგად ვიცით, რომ სოციალისტები არც ამბობენ ასეთ რამეს და არც უცდიან ამას და ინტერნაციონალსაც არავითარი დადგენილება გამოუტანია ამის შესახებ. ეს დაიწერა მხოლოდ რ. არსენიძეს მეექვსე ნომერში, მაგრამ ჩვენი შენიშვნის შემდეგ ეს მან გამოასწორა მეშვიდე ნომერში. საჭიროა ეს კარგად დაიხსომოს «სოც. აზრ»-მა და წარამარა სოციალიზმს არ მიაწეროს ასეთი სისულელე. რ. არსენიძე იმასაც გვარწმუნებს, რომ ინტერნაციონალთან კარგ განწყობილებაში უნდა ვიყოთ. საკვირველია, ჩვენ დიდი ხანია ვართ ინტერნაციონალის წევრი, გვყავს იქ წარმომადგენელი და ვიღებთ მის მუშაობაში მონაწილეობას. ეს კია რომ ვართ იქ იმათ რიგებში, ვისაც რ. არსენიძესავით არ სჯერა რომ «საქართველო მშრომელთა, მუშაკთა და მოღვაწეთა» სამეფოა.

ახლა ჩვენს ფაშისტობაზე. გვესმის რომ «სოც. აზრი» ძალიან ცდილობს ჩვენს ფაშისტობაზე [illegible] თავის თავი დიდ სოციალისტად მოგვაჩვენოს *). ამიტომ იყო რომ რ. არსენიძემ «ბრ. ხმა»-ს ცილი დასწამა მანჯუკოს და ჰიტლერის შესახებ. მას ახლა მოჰყავს «ბრძ. ხმა»-დან ამის შესახებ ამონაწერი და აცხადებს: «ახლა გრ. ურატაძემ დაგვიმტკიცოს რომ «ბრ. ხ.» ასეთი სისულელე არსად არ უთქვამს და არც შეეძლო ეთქვა»-ო. კეთილი და პატიოსანი. რას სწერდა «ბრძ. ხმა»?—«იაპონია გახდა წამქეზებელი ნაციონალური მოძრაობისა, მან უარყო თურმე კოლონიური, უბრალო დაპყრობა თუ ანექსია და დაიწყო ნაციონალური ხელისუფლების აწყობა. მისი ხელმძღვანელობით და პროტექციით იშვა მანჯურო». «იაპონია თამაშობს რუს. როლს

*) «სოც. აზ.»-ში სხვებიც ვარჯიშობენ ჩვენს ადრესზე, მაგრამ კარგს იზამენ, არ დაივიწყებდენ, რომ ჩვენ კარგად ვიცით თუ მეკვნარა ქოთანს რა ოქროს ძირი აქვს.

ორი სარდალი

ეს ერთი ხანია ემიგრაციის ერთმა ნაწილმა, ზოგი მხედრების მონაწილეობით, ჩვენი ქვეყნის დამარცხების გამო, ასტეხა ყოვლად უდიერი და ყოვლად უღირსი კამპანია ჩვენი მთავრობის და ჩვენი პარტიის წინააღმდეგ. რა არ სთქვეს, რა არ დასწერეს, რა ბრალი არ დაგვდეს! სამწუხაროთ, ამ ემიგრანტულ კინკლაობაში ჩაერიენ ისინიც, ვისაც ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ასეთი დიდი და საპატივსაცემელი ადგილი ეჭირათ. ასეთებია, უპირველესად, ორი ჩვენი მთავარსარდალი—გენ. ოდიშელიძე და გენ. კვინიტაძე. ორივე ესენი მონაწილენი არიან იმ დიდი ისტორიული ამბების, რომელიც ჩვენში დატრიალდა და ისტორიული ამბების გარჩევა-დაფასება რომ თვით ისტორიისათვის დაეტოვებინათ მათთვისაც სჯობდა და საქმისაც უკეთესი იყო. მათ ეს არ ინებეს და მით ჩვენც გვაიძულებენ მონაწილეობა მივიღოთ ამ უსიამოვნო დავაში.

უნდა აღინიშნოს რომ ორივე სარდალმა ეს ჩვენი შინაური დავა გადაიტანეს რუსულ გაზეთის ფურცლებზე და მით ჩვენს შინაურ საქმეებში უცხო მკითხველიც ჩაითრიეს, რომელნიც, ეჭვი არაა, საჭირო დროს მოხერხებულად ისარგებლებენ ყოველივე ამით ჩვენი ქვეყნის პრესტიჟის და ინტერესების საწინააღმდეგოთ.

ჩ. ამირეჯიბი ჩვეულებრივად სტყუის, რასაკვირველია, როცა სწერს—«გენ. ოდიშელიძემ ბრალი დასდო მათ (ე. ი. ჩვენ. გ. უ.) სიცოცხლეშივე, ისინი კი პასუხს აძლევენ მას უკვე მიცვალებულს და ისიც 15 წ. შემდეგ»-ო. გენ. ოდიშელიძის «მოგონებანი» დაიბეჭდა მხოლოდ გასულ წელს, მისი სიკვდილის დიდი ხნის შემდეგ და როგორ უნდა გაგვეცა პასუხი 15 წ. წინეთ—ეს ალბათ «კავკასიის» რედაქციაში იციან.

ამ «მოგონება»-ს მეორე მთავარსარდალი გენ. კვინიტაძე ასე აფასებს: «გენ. ოდიშელიძემ დასწერა თავის მოგონებები იმ პირადი ხასიათის შთაბეჭდილების ქვეშ, რომლითაც მას მიმართეს კონსტანტინეპოლში მისი მოგონების მომსმენელებმა. ეჭვი არაა, ის იყო გაბრაზებული ამ გარემოებით და დაიწყო თავის მართლება თავის მოგონებებში, ხოლო ლიად ბუნებრივია რომ ამ თავის დაცვამ ის გაიტაცა და თავს დაესხა სხვებსაც. თავის თავდასხმაში ის რასაკვირველია ყოველთვის არ არის მართალი» და სხ. («კავკასია» № 37).

ასეთი დახასიათებისა და დაფასების შემდეგ ძნელი გამოსაცნობი არაა თუ რა ღირსების უნდა იყოს გენ. ოდიშელიძის ეს «მოგონებანი». იმ პირთა შორის, ვისაც თავს ესხმის ოდიშელიძე, არის გენ. კვინიტაძეც და აი ისიც იმართლებს თავს. ამ თავის მართლებაში ისიც არა ნაკლებ გატაცებულია და სხვებზე თავდასხმას კიდევ უფრო აძლიერებს. ის ეკამათება რა ოდიშელიძეს ამტკიცებს, რომ ტფილისთან ბრძოლამდე არმიის ნახევარი უკვე განადგურებული იყოო და ეს ამდენი ჯარი განადგურდა, მისი გადმოცემით, ბორჩალოში, განსაკუთრებით ხრამთან. ეს განადგურება კი, როგორც ვიცით, ისე სამარცხვინოთ ისე სკანდალურად მოხდა, რომ ვერც მთავარსარდალი ოდიშელიძე და ვერც ფრონტის სარდალი გედევანიშვილი, რომ დაგვეცალა, ვერ აცდებოდენ რასაკვირველია, საველე სასამართლოს. და მართლაც, ღამის 12 საათზე, ცუდად შეიარაღებული ბრბო თავს ესხმის ფრონტის პირველ ხაზს, რამდენიმე საათის განმავლობაში [illegible] მთელი შემადგენლობის თითქმის ორმესამედს და ხელთ იგდებს მთელ ბამბაკის ხეობას შაგალიდგან სადახლომდე. ამ დაუჯერებელი ამბის შესახებ საბჭოთა ჯარების კომისარი ლაზიანი 11 არმიის გაზეთ «კრასნი ვოინში» შემდეგს გადმოგვცემს: «მთავარ მნიშვნელოვან საქმეს აჯანყების ოპერაციის მოწყობაში წარმოადგენდა შაგალის ოპერაცია. რადაც არ უნდა დაგვჯდომოდა უნდა გადარჩენილიყო შაგალის ხიდი, რომელიც დანაღმული იყო მენშევიკებისაგან და რომელსაც ჰქონდა განსაკუთრებული მნიშვნელობა. ამ საქმის მოსაწყობათ გაიგზავნა ყოფილი შტაბს-კაპიტანი სტეპანიანი, რომელმაც წაიყვანა რამდენიმე სამხედრო სპეციალისტი. სტეპანიანმა ლტოლვილის ტანისამოსი ჩაიცვა, გაჩნდა შაგალში [illegible] ჩაით, ღვინით და კონიაკით. ამით დაუძმობილდა ქართველ ჯარის კაცებს, იყო ქეიფი, დოლის ტაშება, გაიგო როგორი წესით იყო დანაღმული ხიდი და გამოიმუშავა მის ხელთ ჩასაგდებათ გეგმა. მერე დაინიშნა თავდასხმის დღეთ 12 თებერვალი. უცაბად ხიდი ხელთ იგდეს, დაეპატრონენ იარაღის საწყობებს, განაიარაღეს ჯარისკაცები და მთელი ზონა გაიწმინდა მენშევიკების ჯარისაგან. ტყვეთ წამოვიყვანეთ 3.000 კ.» და სხ.

ამ საბედისწერო და სამარცხვინო ამბავს თვით მთავარსარდალი ოდიშელიძე ისე გადმოგვცემს თითქოს ეს მას არც კი ეხება, თითქოს ის გარეშე და შორიდან მაყურებელი პირია. «ამ ათასეულებს რომ არ ექეიფათ და ბავშვები არ ენათლათ—ამბობს ის—არამედ ყოფილიყვენ ფხიზლათ თავის საგუშაგოზე—ეს ამბავი არ მოხდებოდა. აქ იყო [illegible] კოლექტიური ბოროტმოქმედება»-ო. ამ «კოლექტიური ბოროტმოქმედების» შედეგი კი იყო «მთელი არმიის ნახევარის» უბრძოლველად განადგურება. ამან, რა თქმა უნდა, დაანგრია ჩვენი თავდაცვის საქმე, დასცალა სტრატეგიული პუნქტები და გააძლიერა მტრის გამარჯვების შანსები. ამ ცნობის მიღებისთანავე მთავრობამ ოდიშელიძე და გედევანიშვილი თანამდებობიდან გადააყენა და მთავარსარდლად გენ. კვინიტაძე დანიშნა. ამ რიგად, არმიის ნაწილი, გენ. კვინიტაძის მტკიცებით კი ნახევარი, განადგურდა უომრად ოდიშელიძის დაუდევრობით და უმოქმედობით. დარჩა მეორე ნახევარი და ის გადაეცა ახალ მთავარსარდალს გენ. კვინიტაძეს.

რა ბედი ეწია ამ მეორე ნახევარს?

მიუხედავად მომხდარ კატასტროფისა, მაინც შესაძლებელი გახდა დარჩენილი ნაწილებით თფილისზე მომდგარ მტრისათვის წინააღმდეგობის გაწევა. 18-20 თებერვალს მტრის მთავარი იერიშები მოგერიებული იქნა, მტერმა დიდი ზარალი ნახა და იძულებული იყო უკან დაეხია. ჩვენი ჯარების პოზიცია იყო სამ ადგილას—ტაბახმელა, სოღანლუღი და ფოილის გასწვრივ. სამივე ეს ნაწილები გმირულად იგერიებდენ შემოტევას. ასობით ტყვეები მოჰყავდათ და ერთ წუთსაც არ დაუტოვებიათ თავისი პოზიციები. და აი ამ გამარჯვებულ ჯარს, 24 თებ. საღამოს, მოსდის მთავარსარდლის ბრძანება უკან დახევისა და თფილისის დატოვების შესახებ. ამას უნდა დაუმატოთ ის ცნობილი ფაქტი, რაც მთელმა საქართველომ იცის რომ სწორედ იმ დროს როცა ჩვენი ჯარი უკან იხევდა სარდლის ბრძანებით—დამარცხებულ წითელ არმიას თავის მთავარი შტაბისაგან მოუვიდა ბრძანება, საქართველოს ყველა ფრონტიდან უკან დახევის. ბრძანება თფილისის დატოვებისა იმდენად მოულოდნელი იყო, როგორც ხალხისთვის, ისე თვით გამარჯვებულ ჯარისთვის, რომ ზოგიერთ პოზიციებზე ის პროვოკაციათ ჩასთვალეს და ხანამ გენ. მაზნიაშვილმა წერილობით საბუთი არ მისცა მათ—ბრძანება ნამდვილია, სანგრებიდან არ ამოვიდნენ.

უდავოა რომ თფილისის დატოვებამ გადასწყვიტა ომის ბედი და რამდენად არავინ ელოდა ასეთ შესაძლებლობას, იმდენად საშინელი იყო მისი შედეგები. ამიტომ მართალია გენ. ოდიშელიძე როცა ამბობს: «ეს გაუგებარი და მოულოდნელი დატოვება თფილისის იყო საბაბი და მთავარი მიზეზი ყველა ფრონტების დემორალიზაციისა და მთელი არმიის დაშლისა და სახლებში გაფანტვისა»-ო.

და მართლაც, მთელი რვა დღის განმავლობაში ჯარები მხნეთ იბრძოდენ და მამაცად იცავდენ თფილისს. გენ. ოდიშელიძის მოწმობით არც დემორალიზაციის ნიშნებს, არც სულიერ თუ ფიზიკურ მოქანცვას ადგილი არ ჰქონია. ასეთ პირობებში სატახტო ქალაქის დატოვება და ისიც ერთი პირის განკარგულებით—რა გასაკვირია თუ ამდენ მითქმა მოთქმას იწვევდა და იწვევს. დღეს მაინც აღარ უნდა იყოს სადაო, რომ თფილისის დატოვებით ჯარი დაიშალა, დაიფანტა, დარჩა უხელმძღვანელოდ, შესაფერებელი ადგილი ვერსად ნახა და რამდენიმე დღეში თავი ბათუმში ამოყო.

ამ რიგად, თვით გენ. კვინიტაძის მოწმობით, ამდენი სიმწრით და ვაი-ვაგლახით შექმნილ-მოწყობილი «არმიის ნახევარი» განადგურდა უომრად. ამ დროს მთავარსარდლად იყო გენ. ოდიშელიძე. დარჩენილი მეორე ნახევარი, თვით გენ. ოდიშელიძის მოწმობით, დაიშალა, დაიფანტა, დაიქსაქსა და მით გადაწყდა ჩვენი ქვეყნის ბედი. ამ დროს მთავარსარდლად იყო გენ. კვინიტაძე. და რაც არ უნდა სწერონ დღეს ამ ფაქტების ამოშლა ჩვენი ქვეყნის ისტორიის ფურცლებიდან, ყოველივე ცდას აღემატება.

ამის შემდეგ ადვილი მისახვედრია თუ რა ფასი აქვს ჩივილს იმაზე რომ მეტი ჯარი არ გვყავდაო, როცა იმ ჯარებსაც კი ვერ მოუარეს, რომელიც

სტატუსქვოს შენარჩუნებად თავის და მის სამფარველო ერთა სასარგებლოთ». არ არის ეს მართალი? არ შესულა იაპონიის იმპერიალიზმი მანჯურიაში ნაციონალური დროშით? არ შექმნა მან იქ ნაციონალური მთავრობა თავის ხელმძღვანელობით და პროტექციით? არ ცდილობს ის შენახვას სტატუსქვო თავის და მის სამფარველოს ქვეშ მყოფ მანჯურის სასარგებლოთ? არ არის ყოველივე ეს ფაქტი? და რადგან იყო რომ ფაქტის აღნიშვნა ნიშნავდა ამ ფაქტისადმი თანაგრძნობას თუ მის გამართლებას? ქიმები ამბობენ—ჭაობიან ადგილებში ციებ-ცხელება იციო მაგრამ ეს ნიშნავს რომ ქიმი თანაგრძნობს ციებ-ცხელებას? ან და. ასტრონომები ამბობენ—ამა და ამ დროს მთვარე დაბნელდება». განა ეს ნიშნავს რომ ასტრონომს უნდა მთვარის დაბნელება? სადაუ სადაო.

ახლავე პიტლერზე. «როცა «ბრ. ხმა» შეხარებლად სთვლის რომ პიტლერის ჯარი. როგორც განმთავისუფლებელი იქნეს მიწვეული რუსეთში დამონებულ ერთაგან—ეს ჩვენ ვერ გაგვიგია» ო (№ 6). ჩვენ განვაცხადეთ, რომ არაფერი ამის მსგავსი «ბრ. ხმას» არ უთქვამს და რომ დრიბილებში მოყვანილი სიტყვები სრულიად არ არის «ბრ. ხმა»-ში. ამიტომ გამოვაცხადეთ ის ცილისწამებათ. ახლა რ. არსენიძე მოყავს დასამტკიცებლად ამონაწერი «ბრ. ხმა»-დან, მაგრამ მკითხველი დაგვეთანხმება რომ არაფერი იმის მსგავსი. რაც მან ჩვენ მოგვაწერა, იქ არ სწერია. იქ ლაპარაკია ლივანთან კონფერენციის იმ მუხლის შესახებ. რომელზედაც იქ იყო იმ დროის ლაპარაკი და წერილის ავტორი ამტკიცებს რომ კონფერენციის ამ მუხლის ძალით ლიგა უფლება მოსთხოვოს ამა თუ იმ სახელმწიფოს ჯარების უკან გამოყვანა და ამის დასაბუთებად მოყვანილია მოსაზრება—რომ გერმანია შეიჭრებს რუსეთში. ხელი შეუწყოს ერთა ხნების განთავისუფლებას და რომ ამ განთავისუფლებულმა ერებმა განუცხადონ ერთა ლიგას. გერმანიას კი არ დაუპყრიათ, ჩვენ თვითონ მოვიწვიეთ—ერთა ლიგის მთელი ეს იურიდიული ხრიკი ერთბაშად დაიშლება და «ერთა ლიგა იძულებული იქნება ხელი აიღოს სანქციებზე. თვით ჩაერიოს გერმანიის გვერდით აღდგენილ ერების ურთიერთობის მოწყობაში» ო და სხ. როგორც ხედავთ აქ ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი რომ «პიტლერის ჯარი იქნეს მიწვეული რუსეთში ჩაგრულ ერთაგან, როგორც განმთავისუფლებელი»! ამაზე მეტი ცილის წამება კიდევ შეიძლება!!

ორიოდე სიტყვა უცხო ფულებზე. რ. არსენიძეს უნდა ჩვენგან ამის შესახებ «გაბედული სიტყვა». იყოს ნება მისი. არას დროს. არც ერთხელ, საქართველოს სოც.-დემ. პარტიის უცხოეთის ხელმძღვანელობას არ მიუღია არც ერთი სანტიმი «უცხო ფული». ეს კარგად იცის თვით რ. არსენიძემ. რომელიც დიდხანს იყო პარტიის ხელმძღვანელ ორგანოების წევრი. რ. არსენიძე დიდ სამსახურს გაუწევს თავის თავს რომ ხშირათ მოიგონებდეს ხოლმე—

«შავს ღვინოს, წითელ ღვინოსა,
განა სულელებს სმა უნდა?
პირში მოსულსა სიტყვასა,
განა სულელებს თქმა უნდა»

გრ. ურატაძე.

„ბრძოლის ხმის" ექსპედიციისაგან

მსურველთ შეუძლიათ შეიძინონ გასული წლების «ბრძოლის ხმის» ნომრები პ. სარჯველაძისგან rue Seguier 9. P. (6). ერთი წლის კომპლექტი ღირს 30 ფრანკი.

ხელის მომწერთ ვსთხოვთ გასული წლის გაზეთის საფასური გაასწორონ.

სამშობლოს ჯალათი

მოსკოვიდან იტყობინებიან სერგო ორჯონიკიძის გარდაცვალებას.

ვის არ გაუგონია ჩვენში ეს სახელი, სახელი სისხლიანი და საშინელი. ის შემოუძღვა რუსის ურდოებს საქართველოში. მან აიღო ხმალი თავის დედის—სამშობლოს წინააღმდეგ, დასვრა ის სახიჯ-ვილით და გამართა ღრეობა მისი სისხლის მორევში.

მან დაარბია ჩვენი ქვეყანა. ელიტა რამოდენიმე წლის საუკეთესო მამულიშვილნი. დაეცხილა აღურიცხელი საუკეთესო ამხანაგები. იშვიათია ოჯახი მის მიერ აუტირებელი. მან ბორკილი დაადო ქართველი ხალხის თავისუფლების სულს. წაართვა ბრძოლით მოპოვებული ადამიანური და ეროვნული ყველა უფლებები. დაარბია და გაანადგურა ერის სარჩო და დოვლათი. და ახე ხელფეხ შეკრული და დაგლეჯილი ერი მიართვა ზვარაკათ მოსკოვის მთლიანს. სამაგიეროთ მან მიიღო დიდი ადგილი, დიდი პატივი, დიდი ჩინი და ორდენები.

ეს იუდა ისკარიოტელი დღეს განისვენებს სამარეში. მოვა დრო. და ეს არც ისე შორს არის. როცა მას ეს სამარეც აღარ შერჩება. ხოლო მისი სახელი წყევლა-კრულვით შთამომავლობას გადაეცემა.

გიორგი წერეთლის საღამო

კვირას, 7 თებერვალს, ქართული სამეცნიერო წრის თაოსნობით და ბ-ნი ექ. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით გაიმართა სხდომა ცნობილი საზოგადო მოღვაწის გიორგი წერეთლის ხსოვნის პატივსაცემლად. წაკითხულ იქნა: ბიოგრაფია—მ. მგალო. მოსახსენებანი—ი. მანჭკავა და რ. არსენიძე. მოგონებანი—ექვ. თაყაიშვილი და ნაწყვეტები—«კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა». წაკითხული ს. ბერეჟიანის მიერ. საზოგადოთ ემიგრაციაში ძნელია საჭირო მასალების უქონლობის გამო ბიოგრაფიების და მოხსენებების ვრცლად და სრულად შედგენა. მაგრამ რამდენადაც შესაძლებელი იყო მონაწილეთ საკმაო მასალები შეეგროვებიათ და საკმაოთ ვრცელი მოხსენებებით გააცნეს დამსწრეთ ამ დიდი მოღვაწის თავდადებული შრომა და მუშაობა ყველა იმ მრავალფეროვან საზოგადო სფეროში. რომელშიდაც მან მიიღო მონაწილეობის მიღება თუ თაოსნობა.

მეტად საინტერესო იყო პროფ. ექ. თაყაიშვილის პირადი მოგონებანი, განსაკუთრებით მისი მეორე ნაწილი. მისი მოხსენებით დამსწრეთა წინაშე იდგა გიორგი წერეთელი, როგორც პირად ურთიერთობაში, ისე საზოგადო მოღვაწეობაში. მან აღნიშნა. გ. წერეთელი მუდამ და ყოველთვის ერისა და იმაზე ფიქრობდა და ზრუნავდა—როგორ დაეხმარებოდა თავის ქვეყანას, როგორ და რით შეეწყო ხელი მისი წინმსვლელობისათვის. ის ვერ ეწყობოდა და ვერ ეგუებოდა იმ დროის გაბატონებულ შეხედულებებს ჩვენს ქვეყანაში სამოქმედოთ და მუდამ და ყოველთვის იქ იყო. სადაც შეამჩნევდა იმ მომქმედ და მოძრავ ძალას. რომელსაც მისი აზრით შეეძლო ჩვენი ჩამორჩენილი ცხოვრების წინ წაწევა. ვერც იმ დროის პრესა აკმაყოფილებდა მას და როცა ის უცხოეთიდან დაბრუნდა. ოთხი თუ ხუთი პირის დასწრებით. რომელთა შორის ბ-ნი თაყაიშვილიც ყოფილა. გადაუწყვეტიათ ახალი ორგანოს დაარსება. ეს ორგანო ყოფილა «კვალი» და მისი რედაქტორობა და ხელმძღვანელობა ჩაუბარებიათ გ. წერეთლისათვის. ბ. თაყაიშვილი დიდხანს შეჩერდა გ. წერეთლის ლიტერატურულ მოღვაწეობაზე და გადაჭრით აღიარა ის იმ პირველ ქართველ მწერლად, რომელმაც შექმნა ის ახალი სტილი და ენა. რომელიც ახე განსხვავდებოდა იმ დროის გამეფებულ მძიმე ენისაგან. და თუ «კვალი»-ში იმ თავიდანვე გახაული ქონდა ძველებთან ბრძოლა. ახალგაზრდობაც—ეს აიხსნება იმით. რომ გ. წერეთელი თვითონ დაეძებდა ყველგან იმ ნაზიერ და მომქმედ ახალგაზრდობას, რომელიც კი იქნება მისიც სამშობლოს და ლტოლვას გამოიჩენდა ხოლმე საზოგადოთ საქმიანობაში. ამით აიხსნება. სხვათა შორის. ისიც რომ «კვალი»-ში ბოლოს და ბოლოს თავი მოიყარა იმ ახალგაზრდობამ, რომელიც მესამე დასის სახელით გამოვიდა ჩვენს საზოგადო ასპარეზზე სამოღვაწეოთ. გ. წერეთელმა დიდის კმაყოფილებით გაუწოდა ამ დასს ხელი და ყოველივეს შეუწყობდა მის დასახმარებლად. მან უდიდესი სიამოვნებით აღნიშნა ამ დასის გაჩენა და მასზე დიდ იმედებს ამყარებდა. ის იყო თვითონ მომქმედი კაცი და გულს უღონებდა მაშინდელი საზოგადოების უმოქმედობა. უმოძრაობა. პირადი საქმეებით უფრო გატაცება. ვინმე საზოგადოთი. ვინც იყო ჩართული საზოგადო საქმეში ისინი ბანკებსა და მის გარშემო იყვნენ თავის ვერ გასცილდნენ. სხვა არავინ იყო და მესამე დასის ამ დროის ასპარეზზე გამოსვლა—ეს მართლაც მნიშვნელოვანი რამ იყო და გ. წერეთელმა მაშინვე აართვა ამას ალღო და პირველ დღიდანვე მას შეუკავშირდა, როგორც გაზეთ «კვალი», ისე თავის პრაქტიკული საქმიანობა-მოღვაწეობა. არ შეიძლება ითქვას რომ ყველაფერში ეთანხმებოდა მესამე დასელებს, მაგრამ რომ მათგან მოელოდა ჩვენი ცხოვრების გაყინული ადგილიდან დაძვრას და ჩვენი ხალხის თანამედროვე მოწინავე მოძრაობაში ჩაბმას—ეს უდავოა. ეს აზრი მას არც შემდეგ არ შეუცვლია. და ბოლოს, როგორც ვიცით. თავის გაზეთი სავსებით მათ გადასცა...

უმრავლესი სამეცნიერო წრიდან შეკრებილთ უფრო ვრცლად აღნიშნა ბ. ექვ. თაყაიშვილის იმ საინტერესო მოგონების. რომელსაც დამსწრენი მთელი საათის განმავლობაში დიდი ყურადღებით უსმენდნენ.

დასასრულ, ს. ბერეჟიანმა წაიკითხა გიორგი წერეთლის მოთხრობიდან—«კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა», რამაც ბევრი აცინა დამსწრე საზოგადოება.

დამსწრე.

პარტიის დღე

17 იანვარს პარიზში გაიმართა პარტიის დღე. რომელსაც დაესწრო თითქმის მთელი შემადგენლობა პარიზში მყოფ ამხანაგებისა. ბევრი მათგანი თავის ოჯახობით. დაესწრნენ აგრეთვე სოც.-ფედერ. და სოც.-რევ. წარმომადგენელნი. ბანკეტი გახსნა ამხ. აკ. ჩხენკელმა, რომელმაც აღნიშნა პარტიის დღის მნიშვნელობა. მისი ხასიათი და კმაყოფილება. რომ პარტიის დღეს ისე მხურვალედ ეგებებიან ამხანაგები და ახეთ ხალისით ესწრებიან მას. ის მიესალმა მოძმე სოც. პარტიების წარმომადგენლებს. და იმედი გამოსთქვა, რომ საქართველოს აღდგენისათვის მებრძოლი პარტიები შეძლებენ ხელიხელ ჩაკიდებით გაგრძელებას ჩვენი ქვეყნისათვის მუშაობას. ერთად შინაარსიანი იყო ს. მდივანის სიტყვა. წარმოთქმული სოც.-ფედერალ. პარტიის სახელით. ილ. ნუცუბიძემ თავის სიტყვაში აღნიშნა ის მომენტები, რომლებიც ახასიათებენ სოც.-დემ. პარტიის მოღვაწეობას ჩვენს ქვეყანაში. სხვა ამხანაგებმა მოიგონეს ზოგიერთი საინტერესო მომენტები თავიანთ რევოლ. მუშაობიდან. განსაკუთრებით, პირველი ხანებიდან. მეტად საინტერესო იყო ამხ. ნოე ჟორდანიას მოგონებანი. [illegible] მისი მონაწილეობით პირველ ქართულ [illegible] აღნიშნის ღირსი [illegible]. შემდეგ მისი გადასახლება უცხოეთში, გაცნობა იქაური წრეების. შეხვედრა მარქსისტ [illegible] მისი წერილები [illegible] და [illegible] ავტორებთან.

ვლ. მგელაძემ წაიკითხა მშვენიერი ლექსი. მიძღვნილი ნოე ჟორდანიასადმი, დაწერილი 1874 წ.. საქართველოდან დაბრუნების შემდეგ მასთან პირველი შეხვედრის შთაბეჭდილებით გამოწვეული. იგი ასიამოვნა დამსწრენი პატარა ერთი დადგმით, რომელმაც წაიკითხა პატარა ლექსი საქართველოზე.

დასასრულ დამსწრეებმა გადაიღეს საერთო სურათი სამახსოვროთ და კმაყოფილი დაიშალნენ. გვიან, საღამოს.

№

უადგილობის გამო გადაიდო შემდეგი ნომრისათვის ლეისპიოპლის: «წერილები ლიტერატურაზე».

საფრანგეთში მცხ. ქართ. ასოციაცია

1937 წლის მარტის 21 ს. კვირას, ნაშუადღევის სამ საათზე. შესდგება საფრანგეთში მყოფ ქართველთა ასოციაციის საზოგადო კრება შემდეგი დღიურის წესრიგით:

ასოციაციის თავმჯდომარის, გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევნები.

კრების მისამართი:

5. რიუ ლას კაზ. სოციალური მუზეუმის ბინა.

გამგეობა.

სავაზეთო წერილები და მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ახალი მისამართით:

C. Gvardjaladzé
4. rue Marguerite 4.
Sceaux. (Seine)

გამოვიდა და იყიდება
ნოე ჟორდანიას
ეკონომიური წარმატება და ეროვნება
ფასი პარიზში 5 ფრანკი.
პარიზის გარეთ დაემატება გაგზავნის ხარჯი.
გამოწერა შეიძლება შემდეგი მისამართით:
M-r P. Sardjveladze
9. rue Seguier 9. Paris (6)

იყო და ახეთი დაუდევრობით და პანიკიორობით გაანადგურეს და დაღუპეს.

როგორც სარდლები. ისე მათი ამყოლ-დამყოლნი. გაცმა გვედავებიან და საყვედურობენ—მთავრობა მუდმივი ჯარის შედგენაზე არ ზრუნავდაო. ეს, რასაკვირველია, ახლად გამოგონებულ ამბავია. რითაც სურთ თავი იმართლონ ქვეყნისა და ისტორიის წინაშე. ამის დასამტკიცებლად საკმარისია მოვიყვანოთ რამდენიმე ფაქტი ჩვენი მატიანედან.

ჯერ კიდევ კავკასიის ფრონტის დაშლამდე 1917 წ. აღძრულ იქნა შუამდგომლობა თანახმად ჯარების ნაციონალიზაციის დეკრეტისა, ნაც. ერთეულების შესადგენად. იმავე წლის 14 დეკემ. საქართველოს ეროვ. საბჭოს თავმჯდომარე ნ. ჟორდანიამ მხურვალე მოწოდებით მიმართა ქართველ მხედრობას, რომელიც ასე თავდებოდა: «ჩვენ დარწმუნებული ვართ თქვენ არ უღალატებთ საერთო საქმეს და ერის საუკეთესო ტრადიციებს. ამ მიზნისათვის დღეს საჭიროა ძლევა-მოსილი და გაწრთვნილი ქართული ჯარის შედგენა. უზრუნველ ჰყავით ერის ფიზიკური არსებობა და მისი საუკეთესო იდეალის განხორციელება! ჩაეწერეთ ქართულ პოლკში». 17 დეკ. მანვე მიმართა მთელ ქართველ ერს კიდევ უფრო ვრცელი და მღელვარე მოწოდებით: ... «ქვეყანას მტერი შემოესია. ბრძოლის ველი დაცარიელდა, ეკრებით ღვთის ანაბარად მტრისა და დაშლილი ჯარის მოლოდინში. საჭიროა ძლიერი ეროვნული ჯარის დაუყოვნებლივ შექმნა. თავისუფლების სახელით და ქვეყნის საკეთილდღეოთ ყველა ქართველმა მუშამ და სახელოსნემ უნდა თავი მოიყაროს სამხედრო ერთეულებში. ეროვნული საბჭო დარწმუნებულია რომ მთელი ქართველი ერი მხურვალედ გამოეხმაურება ამ მოწოდებას, ერთსულოვნად აღუთქვამს ზნეობრივ და ნივთიერ დახმარებას ამ დიდი საქმის განხორციელებაში». 1918 წ. 19 იანვრის სხდომაზე ამიერ-კავკასიის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭომ მიიღო ნ. ჟორდანიას წინადადება 19-25 წლიანების მობილიზაციით დაუყოვნებლივ გასაწყვეტ ნაციონ. ერთეულების შესავსებათ. ხეიმის 15 თებერვლის სხდომაზე იგივე ნ. ჟორდანია გადაჭრით ითხოვს, რომ ყველა შეიარაღებული ძალები. ყველა ეროვნ. ნაწილები გადაეცეს ხეიმს და ასე მოხდეს ყველა ძალების გაერთიანება. ამავე მოთხოვნილებით გამოდის ის იმავე ხეიმში 19 თებერვალს. ხეიმის დაშლის შემდეგ კი ჩვენი მთავრობა თვით უდგება საკუთარი ჯარის შექმნას.

დამოუკიდებლობა 26 მაისს გამოცხადდა. 24 ივნის ნ. ჟორდანია წარსდგა ეროვნულ საბჭოს წინაშე მთავრობის დეკლარაციით. სადაც სხვათა შორის. ის ამბობს: «ამას წინათ ჩვენ მივიღეთ კანონი გვარდიის შესახებ. მაგრამ ეს არ კმარა. სახალხო გვარდიას უნდა მივამატოთ განსაკუთრებული საჭიროების დროს. საჭიროა შევქმნათ მუდმივი ჯარი და გვარდია გაუშვათ სამუშაოთ». რამდენიმე დღის შემდეგ კიდევაც შეიტანა ეროვნულ საბჭოში სპეციალური კანონ-პროექტი რეგ. ჯარის მოსაწყობათ. რომელიც მიღებულ იქნა კანონად 20 აგვისტოს. გენ. ჩხეიძე რომ იცნობდეს ამ კანონს, ის აღარ იტყოდა «მხედარი»-ს უკანასკნელ ნომერში — «ყველაფერი გაკეთებული იქნებოდა რომ 1920 წ. შემოდგომამდე მაინც სამხედრო საქმე სრულიად გადასცემოდა მხედრობას იმ სახით, როგორც ეს აღნიშნე «ოლინებაში»-ო.

მოვიყვანოთ ამ კანონის ზოგიერთი მუხლები.

«ომიანობის დროს მტრის წინააღმდეგ ყოველი მომქმედი შეიარაღებული ძალის წინამძღოლად ინიშნება მთავრობის მიერ სავანგებო დეკრეტით. მთავარსარდალი. რომელიც ემორჩილება პირდაპირ მთავრობის თავმჯდომარეს. ომის ოპერატიულ საქმეებში მთავარსარდალს აქვს სრული თავისუფლება მოქმედებისა და ომის წარმოების ყოველი საკითხის გამო მოპასუხეა მთავრობის თავმჯდომარის წინაშე. მთავარსარდლის ყოველი უფლება განმარტებულია «ომიანობის დროს ჯარის საველე მართველობის დებულებით» (მუხ. 4).

«სამხედრო მინისტრისათვის ინიშნება ამხანაგი, რომელიც არის უმაღლესი მრჩეველი და იმავე დროს ნაცვალი სამხედრო მინისტრისა. ყოველ იმ შემთხვევაში, როდესაც მიმდინარე საქმეს პრინციპიალური, ან საბიუჯეტო ხასიათი არ აქვს, სამხ. მინისტრის ამხანაგი დამოუკიდებლად გადასწყვეტს საქმეს და სამხედ. მინისტრის მაგიერ ხელს აწერს». (მუხ. 5).

მთელი სამხედრო მართველობა შესდგება ექვსი განყოფილებისაგან. საერთო განყოფილება—სათავეში უდგას გენ. შტაბის ოფიცერი (მუხ. 7). პირადი შემადგენლობა—სათავეში უდგას გენერალი, ან შტაბის ოფიცერი (მ. 8). გენ. შტაბი—სათავეში უდგას გენ. შტაბის გენერალი, რომელიც ომის დროს საველე შტაბის უფროსიცაა (მ. 9). საადმინისტრაციო განყოფილება—სათავეში უდგას უმაღლესი სამხედრო სწავლით, ან სათანადო ადმინისტრატიული გამოცდილებით აღჭურვილი გენერალი (მ. 10). სასანიტარო განყოფილება—სამხ. ექიმი (მ. 11). საბჭეთილო განყოფილება—სამხედრო ბჭეთილი (მ. 12).

იმავე დღეს მიღებულ იქნა დებულება სამხედრო ბეგარის შესახებ. რომლის პირველი მუხლი აცხადებს, რომ სამხ. ბეგარა საყოველთაოა ყოველი მოქალაქისათვის და რომ რესპ. ყველა მოქალაქე 20-45 წლამდე მოვალეა პირდაპირ მოიხადოს სამხედრო ბეგარა.

გამოიცა მთავრობის თავმჯდომარის ნ. ჟორდანიას ხელის მოწერით «სადისციპლინარო წესდება» ჯარში სამხედრო დისციპლინის შესაქმნელად და განსამტკიცებლად. რომლის გასაცნობად საკმარისია მოვიყვანოთ სანიმუშოთ ერთი მუხლი მაინც: «სამხედრო დისციპლინის დარღვევისა, ან დამშვარა ურჩობის დროს უფროსი ვალდებულია ყოველივე ზომა იხმაროს წესიერების აღსადგენად; უკიდურეს შემთხვევაში იგი ვალდებულია ძალას მიმართოს და იარაღით აღადგინოს წესიერება» (მ. 5). შემდეგ დაწვრილებით გათვალისწინებულია და ჩამოთვლილია ყველა სახის მოსალოდნელი დარღვევა დისციპლინის და აღნიშნულია შესაფერი სასჯელი.

თუ შევადარებთ ყოველივე ამას გენ. ჩხეიძის «საოცრებით» გეგმას დავინახავთ. რომ გენ. ჩხეიძეს ოცნებას შორსაც კი არ ქონია.

ზემოთ მოყვანილი კანონის მუხლები უდავოთ ამტკიცებენ. რომ მთელი სამხედრო საქმე სწორეთ სამხედრო პირებს ებარა. აღნიშნულია თუ რომელ განყოფილებას რომელი ჩინის პატრონი განაგებს და სხ. ყველგან გენერალი თუ შტაბს-ოფიცერი. არსად არც ერთი «ერის კაცი». და გენ. ჩხეიძეს მაინც ყოფნის სითამამე განაცხადოს—«ჩვენ გამოვეცქით მოუმზადებელი იმიტომ რომ ჩვენში სამხედ. საქმე ერის კაცის ხელში იყო»-ო. მე 5 მუხლში გარკვევით არის ნათქვამი. რომ როცა საქმეს პრინციპიალური ან საბიუჯეტო ხასიათი არ აქვს, სამხ. მინისტრის ამხანაგი დამოუკიდებლად (ხაზი ჩვენია) გადაწყვეტს საქმეს და სამხ. მინისტრის მაგიერ ხელს აწერსო. ასეთი საქმეები კი სამხედრო საქმეებია და ამ სფეროში მინისტრის ამხანაგი სრულიად დამოუკიდებელი იყო და მოქმედების სრული თავისუფლება ქონდა მინიჭებული. ასე რომ მთელი სამხედრო საქმეები კანონითაც და ფაქტიურადაც მუდამ სამხ. პირების ხელში იყო. კიდევ მეტი. განმარტებით წერილში, რომელიც დართული აქვს კანონს მთავრობა ითხოვს საბჭოსაგან «შეღავათებით უკვეთ ნივთიერ უზრუნველყოფას იმ პირთათვის. რომელნიც მოწვეული იქნებიან გენ. შტაბში თანამდებობის დასაჭერათ. საჭიროა ასეთი პირების ძვირად დაფასება»-ო და სხ.

არც ერთ სამინისტროზე არ იხარჯებოდა იმდენი. რამდენიც სამხ. სამინისტროზე. თითქმის ორ მილიარდიან წლიურ ბიუჯეტიდან მარტო სამხ. სამინისტროზე იხარჯებოდა 538.791.632 მან. ე. ი. მთელი ბიუჯეტის მეოთხედზე ბევრით მეტი. ამაში მარტო სამხედრო განყოფილებისათვის. რომელიც იმავე მხედრობის ხელში იყო. იხარჯებოდა თითქმის ორასი მილიონი და თუ ჯარს მაინც არ ეცვა. მაინც შიოდა—ამის მიზეზი სხვაგან უნდა ვეძიოთ და არა საჭირო თანხის უქონლობაში. აქ, რასაკვირველია, არაა ნაანგარიშევი ის თანხები. რომელიც ეძლეოდა სამინისტროს როგორც დამატებითი თანხები. ან და ომის საწარმოებლად.

სავაზეთო წერილში ძნელია უფრო დაწვრილებით ლაპარაკი ახეთ დიდ თემაზე. მაგრამ ამ მცირე და მოკლე მიმოხილვიდანაც. ვფიქრობთ. ნათელია. რომ ყველაფერი იყო ნაქნარი იმისთვის. რომ მოწყობილიყო რეგ. ჯარი და თუ ის არ აღმოჩნდა მოწყობილი, ისე როგორც უნდა ყოფილიყო, ამაში, რა თქმა უნდა. «ერის კაცი» სრულიად არაფერ შუაშია. მიუდგომელი მემატიანე უეჭველად იტყვის. რომ მთავრობამ და მმართველმა პარტიამ. თავისუფალ საქართველოს ხანმოკლე არსებობის დროს. იმ ჯოჯოხეთურ პირობებში. გააკეთეს მაქსიმუმი იმის, რის გაკეთებაც კი შეიძლებოდა. გვეშინია რომ ამას არ იტყვის ის და ვერც იტყვის ჩვენს სამხედრო ხელმძღვანელობაზე...

გრ. ურატაძე.

Leuville-sur-Orge. — Imprimerie de Leuville

Le Gérant : René Toussaint.